ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

გლდანში 21 წლის გიგი თოლორაია დაჭრეს

ის შეყვარებულთან პაემანზე მიდიოდა

გვ.5

18 მაისიდან

ჯემალ ქარჩხაძე

ანტონიო და დავითი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ოთხშაბათი, 19 მაისი, 2021 | №87 (8616) | ფასი: 60 თეთრი

„სახელმწიფო კი არა, „ოცნების“ ბოსტანი გვაქვს“

გვ.2

დიმიტრი შაშკინი: „ჩემთვის მთავარი რეფერენდუმის მოგებაა და, თუ „ოცნება“ არ გავუშვით, ქვეყნისგან არაფერი დარჩება“

„როდესაც მეზობელი ხედავს, რომ მზად ხარ, საარჩევნოდ რაღაც ბენეფიტებისთვის სახელმწიფო ინტერესებით ივაჭრო, როგორც თანასწორს, არ დაგელაპარაკება“

„ნაციონალურმა მოძრაობამ ნაგო“

გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „ადგილობრივ არჩევნებზე არაფერი სასწაული არ მოხდება. საინტერესო იქნება, რას იზამენ გახარიას პარტია და ვასაძე“

„თუ გახარია ივანიშვილის თამაშს თამაშობს, მაშინ ივანიშვილს საფრთხე არ ემუქრება“

„ოცნებაში“ ყველა კალაძის მტერია“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნება“ ხვდება, რომ გახარიას არჩევნებში მონაწილეობა მათთვის დამანგრეველი იქნება“

„უცნობი“, გახარია, ვასაძე — სამივე ნაფტალიდან ამოღებული სახეა“

გვ.4

ბეჟან ნათელაშვილი: „ქართულ ოცნებას“ 43%-ის დაწერა არ გაუჭირდება“

ISSN 1987-9385

2 ანრი ოხანაშვილი: „პოლიტიკურ ჯგუფებს ეყოფათ გამბედაობა და გონიერება, ხელი არ შეუშალონ შეთანხმების აღსრულებას“

4 „ვამაყობ, რომ ნიკა მელიას თანამებრძოლი ვარ“ სააკაშვილის განცხადება

5 „გაზის მილზე ფეხი დაუცდა და ქვევით ჩავარდა“ თბილისში, პეკინზე, საერთო საცხოვრებელში ხანძარს ხათუნა ალანია შეეწირა

6 ესპანეთმა სეუტაში ჯარი შეიყვანა

„სახელმწიფო კი არა, „ოცნების“ ბოსტანი გვაქვს“

დიმიტრი შაშკინი: „ჩემთვის მთავარი რეფერენდუმის მოგებაა და, თუ „ოცნება“ არ გავუშვით, ქვეყნისგან არაფერი დარჩება“

იაგო ნაცვლიშვილი

ფიქრობს თუ არა, რომ ნაციონალური მოძრაობა უნდა შევიდეს პარლამენტში? რა ფორმით ექნებათ კომუნიკაცია ამ პროცესში ამომრჩეველთან? იქნება თუ არა გადამწყვეტი მიხეილ სააკაშვილის აზრი? რა აჩვენა დმანისის მოვლენებმა და როგორ უნდა გავიგოთ აზერბაიჯანის საელჩოს განცხადება? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრი დიმიტრი შაშკინი საუბრობს.

დიმიტრი შაშკინი:

– ჩემი აზრით, პარლამენტში შესვლის საკითხი პარტიის პოლიტსაბჭომ უნდა გადაწყვიტოს პარტიის წევრებთან ერთად. ოღონდ ეს არ არის ერთი და ორი ადამიანის გადასაწყვეტი. ორივე იდეას, შესვლასაც და არშესვლასაც, აქვს პლუსები და მინუსები. აქედან გამომდინარე, რასაც ახლა აკეთებს პარტია, ეს არის ყველაზე სწორი გზა, რომელიც ეფუძნება იმას, რომ კონსულტაციებით, ურთიერთობით პოლიტსაბჭოს წევრებთან და პარტიის წევრებთან ერთად უნდა იყოს გადაწყვეტილება მიღებული.

„როდესაც მეზობელი ხედავს, რომ მზად ხარ, საარჩევნოდ რაღაც ბენეფიტებისთვის სახელმწიფო ინტერესებით ივაჭრო, როგორც თანასწორს, არ დაგელაპარაკება“

– კონსულტაციები მათ შორის კიევშიც არის საჭირო მიხეილ სააკაშვილთან?

– რა თქმა უნდა. მიხეილ სააკაშვილი არის პარტიის საპატიო თავმჯდომარე. ის არის საქართველოს მესამე პრეზიდენტი და მას აქვს უზარმაზარი ავტორიტეტი პარტიაში.

– მისი აზრი ხომ არ იქნება გადამწყვეტი?

– არა. გადამწყვეტი არის ჩვენი ხალხის აზრი. პოლიტიკოსებმა ჩვენს ხალხთან კომუნიკაციით უნდა მივიღოთ სწორი გადაწყვეტილება.

– რა ფორმით გექნებათ კომუნიკაცია ამომრჩეველთან?

– ახლა ტარდება უამრავი შეხვედრა. პარტიის თავმჯდომარე ჩამოვა კიევიდან, დაიგეგმება შეხვედრები და იქნება მიღებული გადაწყვეტილება. ჩვენ შეგვიძლია, წევრებსა და მხარდამჭერებს გავუზიაროთ ის პლუსები და მინუსები, რომლებიც ნებისმიერ გადაწყვეტილებას მოჰყვება. აქედან გამომდინარე, არ არსებობს პასუხი თქვენს შეკითხვაზე. ეს არის პოლიტიკური ბრძოლა, პირადი ემოციები უკანა პლანზე უნდა იყოს გადაწეული და უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ დავასრულოთ წარმატებით რეფერენდუმი და როგორ გავუშვათ ეს ხელისუფლება სახლში.

– პირადად თქვენი პოზიცია საით იხრება?

– ჩემი, როგორც პოლიტსაბჭოს წევრის პირადი აზრია, რომ ოქტომბერში, როდესაც ადგილობრივი არჩევნები იქნება და თავისი მნიშვნელობით ის ასევე იქნება რეფერენდუმი, ჩემი მიზანია, რომ ქართველმა ხალხმა გაიმარჯვოს ამ რეფერენდუმში. ეს არის ჩემი მთავარი ამოცანა. ყველაფერი დანარჩენი ტაქტიკაა.

– ეს გასაგებია, მაგრამ უჭერთ მხარს პარლამენტში შესვლას თუ არა?

– ამ კონსულტაციების შედეგად ამას ვნახავთ.

– ეს გავიგე, მაგრამ, როგორ დავიჯერო, რომ არ გაქვთ ჩამოყალიბებული პოზიცია – გინდათ თუ არა პარლამენტში შესვლა?

– მე მაქვს შეკითხვები, მჭირდება მასზე პასუხები და კიდევ მჭირდება საუბარი სტრატეგიაზე, როგორ ვიმარჯვებთ ამ რეფერენდუმში. რომლითაც უკეთესად იქნება გარანტირებული გამარჯვება, იმ გზით უნდა წავიდეთ.

– ბარამიძემ დააყენა იდეა ელექტრონული პრაიმერისის ჩატარებაზე. იქნება პრაიმერისი თუ სხვა ფორმას ირჩევთ?

– ვერ გეტყვით. პრაიმერისის დროს გჭირდება საარჩევნო კამპანიის მართვა. პრაიმერი არის შიდაპარტიული არჩევნები და ამ დროს ადამიანები გადაწყვეტილებას კამპანიის შედეგად იღებენ. როგორც წესი, ეს კამპანია გრძელდება რამდენიმე თვე. რამდენად გვაქვს რამდენიმე თვე, ეს ჩემთვის ცოტა გაუგებარია.

ჩემი აზრით, ის ფორმა, რომელიც აირჩია პარტიის თავმჯდომარემ, კონსულტაციები საბჭოს წევრებთან და მომხრეებთან, უფრო სწორია, ტაქტიკურადაც უფრო სწორია.

– „ევროპულმა საქართველომ“ გუშინ მიიღო გადაწყვეტილება და პარტია არ შედის. იქნება თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ერთ-ერთი ინდიკატორი ესეც?

– არა, ჩემს გადაწყვეტილებაზე ეს ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს. „ევროპული საქართველო“ დამოუკიდებელი პარტიაა და ის იღებს თავის გადაწყვეტილებას.

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ პირადი ემოციები გვერდზე უნდა გადავდოთ. ოქტომბერში რეფერენდუმი გვაქვს მოსაგები. თუ ქართველმა ხალხმა ეს რეფერენდუმი წარმატებით არ დაასრულა და ეს ხელისუფლება არ გაუშვა სახლში, სამწუხაროდ, ამ ქვეყნისგან აღარაფერი დარჩება.

– გასულ დღეებში დმანისში განვითარებულმა მოვლენებმა რა დაგანახათ, რა პროცესი აჩვენა, გვაქვს თუ არა რეალურად სახელმწიფო?

– მოკლე პასუხია, რომ, სამწუხაროდ, სახელმწიფო კი არა, „ქართული ოცნების“ ბოსტანი გვაქვს.

დავიწყოთ იმით, რაც მოხდა. ის, რაც გასულ დღეებში დმანისში მოხდა, არის შედეგი იმ საერთო სიტუაციისა, რომელიც ქვეყანაშია. პირველი, ეს არის წახალისებული ძალადობა და ის, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ახალისებს ძალადობას იმ იმედით, რომ ის შეძლებს ამ ძალადობის მართვას. მეორეა არასამართლიანობა, როდესაც ვიღაცისთვის შესაძლებელია ყველაფერი და ვიღაცისთვის აკრძალულია ყველაფერი. მესამე კი არის თანამშრომლობა კრიმინალთან. ყველაფერს აქვს ფასი. უფასო დედამიწაზე არაფერია. ჰაერიც კი ფასიანია, იმიტომ რომ თუ ფული არ დავხარჯეთ და ბუნებას არ მოვუარეთ, ისიც არ გვექნება. იგივე ფასი აქვს კრიმინალთან თანამშრომლობას. როდესაც თანამშრომლობენ კრიმინალთან, გასაგებია, რომ ამ ყველაფრს მოჰყვება ფასი.

ამ სამმა ფაქტორმა გამოიწვია ის, რაც მოხდა პირველ დღეს დმანისში. მეორე დღეს ამას დაემატა სრულიად ჩამოშლილი სამართალდამცავი სისტემა, რომელიც ჩამოშლილია იმის გამო, რომ როდესაც პოლიციელს ეუბნები, რომ ამაზე თვალი დახუჭო და ამაზე არ დახუჭო, ბუნებრივია, პოლიციელი იბნევა, იმიტომ, რომ არ იცის, როდის უნდა მოახდინოს რეაგირება. როდესაც ადგილობრივი მაჟორიტარის, მეშვეულანის ძმა საარჩევნო კამპანიის დროს ფეხებს ურტყამს ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერს და მერე ამ ლიდერს იჭერენ იმის გამო, როგორ გაბედე და არ მოაკვლევინე ამ ადამიანს თავიო. პოლიციელებს კი ეუბნებიან, ღია ეთერში ადამიანების ჩვენების მიუხედავად, რომ მეშვეულანის ძმა ძალადობდა, ამაზე თვალები დახუჭეო. ამ ფონზე აბსოლუტურად ბუნებრივია, რომ პოლიციელი იბნევა, რაზე უნდა დახუჭოს თვალი და რაზე – არა.

– განცხადება გაავრცელა აზერბაიჯანის საელჩომ საქართველოში და მიმართა „თანამემამულეებს“, რაც ხაზგასმული იყო. ეს როგორ უნდა გავიგოთ?

– აბსოლუტურად გაუგებარია ეს განცხადება, იმიტომ, რომ არ ვთვლი, იქ ჩვენ პრობლემა გვქონდა ეთნიკურ წარმოშობასთან დაკავშირებით. იქ იყო საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტი, რომელიც პოლიციის ჩამოშლის შემდეგ გადაიზარდა მასობრივ დაპირისპირებაში.

– ამ განცხადებაზე ჩვენს ხელისუფლებას რეაგირება არ უნდა ჰქონოდა?

– ვერ ექნება ხელისუფლებას რეაგირება, რადგან, მაგალითად, როდესაც სააკაშვილი იყო პრეზიდენტი, მაშინ მას და ალიევს შორის იყო თანასწორი და თანაბარი ურთიერთობა, მაგრამ „ოცნების“ ხელისუფლების დროს თანასწორი და თანაბარი ურთიერთობა არ აქვთ ორი მიზეზის გამო. პირველი მიზეზია ის, რომ არავის სჯერა, რომ ქვეყნის მმართველი პრემიერია. ყველამ კარგად ვიცით, რომ ქვეყანას ივანიშვილი მართავს. ნუ გგონიათ, რომ აზერბაიჯანის ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობას აქვს ილუზია, რომ ისინი რეალურ მმართველს ელაპარაკებიან.

მეორეა ის, რომ როდესაც ქვეყნის განვითარების ნაცვლად ქმნი კორუმპირებულ სისტემას და მთავრობა ამაზეა გადასული, მაშინ მზად უნდა იყო, რომ შენ, როგორც თანაბარ პარტნიორს, არავინ დაგელაპარაკება.

– ასე გამოდის, რომ რეალურად ზემოდან გვიყურებენ?

– ამ განცხადებით ასე გამოდის. ხომ გახსოვთ, რომ წინასაარჩევნოდ ცდილობდნენ დავითგარეჯის თემის „გაყიდვას“. აზერბაიჯანმა ხომ იცის, რა მოხდა რეალობაში?! ის არის ერთ-ერთი მხარე. ხედავს იმასაც, რომ სახელმწიფო ინტერესების ნაგავში ჩაყრით ცადოს პოლიტიკური დივიდენდების მოპოვება. რატომ გგონიათ, რომ ამის მერე ექნება ჩვენი ქვეყნის მიმართ განცდა, რომ თანაბარი მოთამაშეები არიან?! აზერბაიჯანი ახლა განვითარების პიკზეა, დაიბრუნა კონტროლი დაკარგულ ტერიტორიებზე და მისთვის სახელმწიფო ინტერესები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, ხედავს, რომ მისი მეზობელი მზად არის, სახელმწიფო ინტერესებით ივაჭროს იმისთვის, რომ მოკლე ვადაში რაღაც ბენეფიტები აჩვენოს არჩევნებში. ამით აჩვენებ, რომ შენი ქვეყნის მტერი ხარ და რატომ გგონია, რომ ამის შემდეგ, როგორც თანასწორ ქვეყანას, ისე დაგელაპარაკება?!

მიხეილ სარჯველაძე: „პარტიები, რომლებიც მხარს არ უჭერენ პარლამენტში მოღვაწეობას, საკუთარ რეპუტაციას აზიანებენ“

– მე, პირადად, მგონია, რომ ის პარტიები, რომლებიც მხარს არ უჭერენ პარლამენტში მოღვაწეობას, აწი თუ ვინმეს ვნებენ, ამ შემთხვევაში, საკუთარი რეპუტაციაა.

ამის შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძემ „ევროპული საქართველოს“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეფასებისას განაცხადა.

მისი თქმით, გაუგებარია იმ ადამიანების მოტივაცია, რომლებიც დღემდე აცხადებენ, რომ პარლამენტში შესვლა არ სურთ და აგრძელებენ უსაფუძვლო პროტესტს, რომლისაც არც თვითონ და არც საზოგადოებას არ სჯერა.

– ცალკეული ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატები რომ აპირებენ, საპარლამენტო მოღვაწეობას შეუდგნენ, იმაზე მეტნი, ვიდრე ამჟამად უკვე შემოსულები არიან, ეს, ვფიქრობ, რომ ნორმალური პროცესია. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის არ არის გასაგები იმ ადამიანების მოტივაცია, რომლებიც დღემდე ამბობენ, რომ არ სურთ პარლამენტში შესვლა და აგრძელებენ უსაფუძვლო პროტესტს, გაუგებარ პროტესტს, რომლისაც თვითონაც აღარ სჯერათ და აბსოლუტურად ალოგიკურია და არადამაჯერებელი საზოგადოებისთვის. ამიტომ მე, პირადად, მგონია, რომ ის პარტიები, რომლებიც მხარს არ უჭერენ პარლამენტში მოღვაწეობას, აწი თუ ვინმეს ვნებენ, ამ შემთხვევაში საკუთარი რეპუტაციაა. ალბათ, გაგრძელდება მომავალშიც ეს პროცესი, როდესაც ცალკეული პოლიტიკოსები კვლავ მიიღებენ გადაწყვეტილებას და პარლამენტს შემოუერთდებიან. ადრე რომ დაწყებულიყო ეს პროცესი, კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა ყველასთვის, – განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.

ანრი ოხანაშვილი: „პოლიტიკურ ჯგუფებს ეყოფათ გამბედაობა და გონიერება, ხელი არ შეუშალონ შეთანხმების აღსრულებას“

– თუკი ვინმე კიდევ კითხვის ნიშანს დასვამს, ეს ნიშნავს კითხვის ნიშნის დასმას ევროკავშირის მეშვეობით შემუშავებულ დოკუმენტთან მიმართებით და სხვა არაფერი, თუ არა შარლ მიშელის დოკუმენტის აღსრულებისათვის ხელის შეშლა.

ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, პოლიტიკურ ჯგუფებს უნდა ეყოთ „იმის გამბედაობა და გონიერება, რომ ხელი არ შეუშალონ ამ შეთანხმების აღსრულებას“, თუმცა ამის რისკებსაც ხედავს.

– „ქართული ოცნება“ რჩება ერთგული ევროპული შეთანხმების და ამ შეთანხმებაში მოცემული ყველა საკითხის, განსაკუთრებით საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით. ის პროექტი, რომელიც დაინიცირებულია და ცვლილებები, რომელიც უნდა აისახოს რამდენიმე დღიანი მოლაპარაკებების და შეხვედრების შედეგად ოპოზიციურ პარტიებთან არის ამბიციური საარჩევნო რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს უფრო მეტ ჩართულობას, გამჭვირვალობასა და ყოველგვარი სპეკულაციებისთვის წერტილის დასმას. შარლ მიშელის წარმოდგენილ დოკუმენტში საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები არათუ ზედმიწევნით გავითვალისწინეთ, არამედ კიდევ უფრო წინ წავედით და გავაუმჯობესეთ.

წარმოუდგენელია, ეს არ დაადასტურონ ობიექტურმა დამკვირვებლებმა, თუნდაც ოპოზიციურმა პარტიებმა. ამიტომ, თუკი ვინმე კიდევ კითხვის ნიშანს დასვამს, ეს ნიშნავს კითხვის ნიშნის დასმას ევროკავშირის მეშვეობით შემუშავებულ დოკუმენტთან მიმართებით და სხვა არაფერი, თუ არა შარლ მიშელის დოკუმენტის აღსრულებისათვის ხელის შეშლა. იმედი მაქვს, პოლიტიკურ ჯგუფებს ეყოფათ იმის გამბედაობა და გონიერება, რომ ხელი არ შეუშალონ ამ შეთანხმების აღსრულებას. არ მინდა დავუშვა, რომ შესაძლებელია ასეთ მოცემულობამდეც მივიდეთ, თუმცა რისკებს ვხედავ. დაველოდოთ, როგორ შეფასებებს გააკეთებენ ოპოზიციონერები ამ პროექტთან დაკავშირებით, – აღნიშნა ანრი ოხანაშვილმა.

მისი ინფორმაციით, საარჩევნო ცვლილებები ვენეციის კომისიაში უახლოეს დღეებში გადაიგზავნება და აღნიშნული კანონპროექტს მეორე მოსმენით კომისიის მიერ დასკვნის გადმოგზავნამდე არ განიხილავენ.

– ვენეციის კომისიაში საარჩევნო ცვლილებები გაიგზავნება უახლოეს დღეებში. ჩვენ პარალელურად დავიწყებთ პირველი მოსმენით განხილვის პროცედურას საკომიტეტო და პლენარულ სხდომაზე, დაველოდებით ვენეციის კომისიის დასკვნას და მანამდე არ მოხდება მეორე მოსმენით საკითხის განხილვა. თუ იქნება საინტერესო შემოთავაზება, ამაზე ვიმსჯელებთ და მხოლოდ ამის შემდგომ დავიწყებთ საკითხის განხილვას, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნაციონალურმა მოძრაობამ წააგო“

თორნიკე შარაშენიძე: „ადგილობრივ არჩევნებზე არაფერი სასწაული არ მოხდება. საინტერესო იქნება, რას იზამენ გახარიას პარტია და ვასაძე“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, დმანისში განვითარებული მოვლენები და იქ წარმოქმნილი პრობლემები კვლავ აქტუალურია. საკმაოდ დაძაბული იყო იქ ვითარება ბოლო დღეების განმავლობაში. მართალია, ამჟამად კონფლიქტი ჩაცხრა, მაგრამ არ მოგვარდა. ითქვა ისიც, რომ პროცესები გარედან იყო მართული. რას იტყვით თქვენ ამ ყველაფერზე?

– დიახ, ამ ეტაპზე კონფლიქტი ჩაცხრა, მაგრამ პრობლემა ასე მარტივად ვერ მოგვარდება. საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი, სამწუხაროდ, მიმდინარეობს საკმაოდ ნელა. რაც არ უნდა თავი ვიტყუოთ, ფაქტია, რომ ბევრმა ქართული არ იცის, ბევრი გაუცხოებულად გრძნობს თავს. ასე რომ, პრობლემა ამ მხრივ არსებობს. რა თქმა უნდა, ეს გუშინ ვერ მოგვარდებოდა. თუ რა მოხდა, რატომ, ამაზე რთულია საუბარი. სანამ დეტალებს არ გავარკვევთ, მგონი, ნაჩქარევად დასკვნის გაკეთება არ ღირს. გუშინდელ მოვლენებში, ვფიქრობ, თავისი როლი ითამაშა იმანაც, რომ ხალხი დასტრესილია პანდემიისა და ლოკდაუნის ფონზე. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ აგრესია გამოვლინდა იქ და მაინცდამაინც ახლა. ხალხში დაგროვილია სტრესი და აგრესია და ახლა იფეთქა. შესაძლოა, ამას თბილისშიც ეფეთქა, თუმცა ეს ნაკლებად მტკივნეული იქნებოდა.

– როგორია პრობლემის გადაჭრის გზები და რამდენად სწორი რეაგირება მოახდინა ხელისუფლებამ?

– ამაზე მსჯელობა ახლა რთულია, რადგან დეტალები არ ვიცით. ქართულ მედიას რომ ვუყურებ, ოპოზიციური არხები აშუქებენ, თითქოს ჯოჯოხეთში ვცხოვრობთ, ხოლო სამთავრობო არხები ისე აშუქებენ, თითქოს სამოთხეში ვცხოვრობთ. მედიიდან ძალიან რთულია დაადგინო, რა და როგორ არის.

– ბატონო თორნიკე, რას იტყვით პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით? ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ოპოზიცია დღეს საკმაოდ რთულ სიტუაციაშია. ფაქტობრივად, ოპოზიციას სახე აღარ აქვსო. მთავარ ოპოზიციურ პარტიად წოდებულმა პარტიამ კიდევ ვერ გადაწყვიტა, რა ქნას. მელია საკაკაშვილთან ჩავიდა კონსულტაციებისთვის. რამდენად სწორად იქცევიან?

– სინამდვილეში ყველამ ხომ ვიცით, ვინ არის ამ პარტიის ლიდერი და ვისია ამ ხმების უმეტესი ნაწილი, რომლებსაც ნაცმოძრაობა იღებს. ახლა რა გასაკვირია, რომ საკაკაშვილის გარეშე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ და გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღონ, ვერ გაპრავდება, თუ საკაკაშვილი არ დაუჭერს მხარს. შესაბამისად, მელია რომ უკრაინაში ჩადის, სწორია, მაგრამ, იქამდე რაც აკეთა ნაცმოძრაობამ, ეს რამდენად სწორია, სხვა თემაა. საბოლოო ჯამში გამოჩნდა, რომ მათი ტაქტიკა იყო არასწორი. ჯერჯერობით ასე ჩანს. შესაძლოა, მათ იმედი აქვთ, რომ „ოცნება“ სისულელეს ჩაიდენს და სიტუაცია მათთვის სასიკეთოდ შემოტრიალდება, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია. ამ ეტაპზე კი ჩანს, რომ მათ წააგეს საკმაოდ სერიოზულად. ორი ვარიანტია, ან აწერენ ხელს შარლ მიშელის დოკუმენტს, ამნისტიას და ყველაფერს და ისე შედიან პარლამენტში, რაც მათი მხრიდან სერიოზული დათმობაა, ან არ აწერენ ხელს. თუ არ აწერენ, ეს ევროკავშირს არ მოეწონება, თავისთავად ცხადია.

– ორივე სიტუაციაში წაგებულიაო.

– კი, ასეა. მათ თავიდან აირჩიეს ძალიან რისკიანი სტრატეგია, აიყოლიეს ამაში სხვა ოპოზიციური პარტიები, მაგრამ მერე ამ პოლიტიკურ პარტიებს ჩაერთოთ თვითგადარჩენის ინსტინქტი, რამდენ ხანს ვიყოთ ქუჩაში, პარლამენტის გარეთო. ხელისუფლება არაფერს თმობს, დასავლეთი ხელისუფლების მხარეს არის, იფიქრეს, ქუჩაში რომ ვიდგეთ, რა ხეირიაო, ადგნენ და შევიდნენ პარლამენტში. დარჩა ნაცმოძრაობა ასე მარტო. როგორც ჩანს, ნაცმოძრაობას იმედი ჰქონდა, სანამ ქუჩაში იქნებოდა მთელი ოპოზიცია, ამასობაში დასავლეთი წიხლს დააჭერდა ხელისუფლებას და „ქართული ოცნება“ დამარცხდებოდა, თუმცა ასე არ მოხდა. ვერ გათვალა ნაცმოძრაობამ, რაღაც-რაღაცები რეალისტურად ვერ შეაფასეს და შედეგიც დადგა. ეს ეხება როგორც ნაცმოძრაობას, ისე – „ევროპულ საქართველოს“.

„თუ გახარია ივანიშვილის თამაშს თამაშობს, მაშინ ივანიშვილს საფრთხე არ ემუქრება“

– ნაცმოძრაობიდან ბევრს უნდა შესვლა. საინტერესოა, რომელი მხარე გადაწონის?

– დარწმუნებული ვარ, ბევრი შევა. უკვე იმდენი შევიდა, რომ შესვლა აღარ ტეხავს. აქამდე ისე ჩანდა, რომ შესვლა ძალიან ტეხავდა. ამას ხელს უწყობდა ნაცმოძრაობის მედიაც, მაგრამ ახლა აღარ არის ასეთი სიტუაცია. ახლა რომ გამოვარდეს მავანი და იყვიროს, მოღალატეები ხართ, ვინც შედიხართო, ამას აღარავინ მიაქცევს ყურადღებას. ორიოდე კვირის წინ ამას კიდევ ჰქონდა გავლენა და ძალა, ახლა მორჩა, დამთავრდა.

– ერთობაც აღარ გამოვა, ვერც ერთიანი მერობის კანდიდატი ეყოლებათ. ოპოზიციური პარტიები ღიად აცხადებენ, ცალ-ცალკე მეტი შანსი გვაქვსო.

– თავისთავად ცხადია, ერთიანი კანდიდატი არ გამოვა. უფრო მეტსაც გეტყვით, რამე რომ იყოს, გამორიცხულია, ბოკერიასა და ნაცმოძრაობას შორისაც არ გამოვა ეს შეთანხმება. ასევე ჩვენ ვხედავთ პატარ-პატარა პარტიების პოზიციას, რომ ნაცმოძრაობის კანდიდატს ყოველთვის მოუგებს „ოცნების“ კანდიდატი და ეს არის წაგების ფორმულა. ეს პატარა პარტიები გამოსავალს ვერ სთავაზობენ ვერავის. ფაქტია, თვითონ ვერ მოიგებენ არჩევნებს და ვერ დაამარცხებენ „ოცნებას“, მაგრამ ამ ეტაპზე გამოსავალიც არ აქვთ.

– ანუ წაგებულ ბრძოლაში მიდიან?

– ასე ჩანს ჯერჯერობით. რა არის გამოსავალი მათთვის, ვერ გეტყვით. ეს ძალიან რთული თემაა. რთული რომ არ იყოს, აქამდე თვითონაც მოძებნიდნენ გამოსავალს. საკმაოდ რთულ სიტუაციაში არიან, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა კარგ მდგომარეობაში არ არის და ეს ჰბრალდება მთავრობას. ამის მიუხედავად, ფაქტია, ოპოზიცია მაინც ვერ იგებს.

– ამ ფონზე რა ხდება „ქართულ ოცნებაში“? მოვისმინეთ თბილისის მერის ანგარიში, ყველაფერზე ისაუბრა კალაძემ, გარდა არჩევნებისა, უპასუხოდ დატოვა კითხვა, აპირებს თუ არა, მეორედ იყაროს კენჭი თბილისის მერად. რა ხდება სახელისუფლებო გუნდში?

– ჩემი აზრით, ეს ხმები, უბრალოდ, გაზვიადებულია. ვერ დალაგდნენ ჯერ, ძალიან დიდხანს იყვნენ დაკავებული ოპოზიციასთან ბრძოლით. ეს ბრძოლა, პრინციპში, წარმატებით დასრულეს და ახლა გადავიდნენ შიდასაქმეების გარჩევაზე. დაპირისპირებაზე რომ ყვებიან ხოლმე და რაღაც სასწაულები გვესმის, ეს ზედმეტად გაზვიადებული მგონია. მე არ ვიჩქარებდი დასკვნების გაკეთებას. შევხედოთ, რა მოხდება. წამოვა თუ არა კალაძე? ჩემი აზრით, მისი „ოცნებიდან“ წამოსვლა ასე იოლი არ იქნება. წინასწარ სპეკულაციებს ნუ დავიწყებთ.

– რას იტყვით გახარიაზე? ვისმენთ შეფასებებს, რომ ის გააქტიურდა, მაგრამ ჯერჯერობით კულუარებში თამაშობს. ღიად არ ჩნდება, მაგრამ კადრების მობილიზებას ახდენს. მერები, მერების მოადგილეები ნელ-ნელა ტოვებენ თანამდებობებს და მის გუნდს უერთდებიან. რა თამაშს თამაშობს გახარია?

– ჩემი აზრით, ჭკვიანურად იქცევა. ჯერ გუნდი უნდა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ოცნებაში“ ყველა კალაძის მტერია“

დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნება“ ხვდება, რომ გახარიას არჩევნებში მონაწილეობა მათთვის დამანგრეველი იქნება“

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ თავმჯდომარე, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, კახა კალაძემ კვლავ არ დააკონკრეტა, მეორედ იყრის თუ არა კენჭს ადგილობრივ არჩევნებში, თუმცა კობახიძემ და თალაკვაძემ გუნდის მხარდაჭერაზე ისაუბრეს. შეიძლება, ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი?

– „ქართული ოცნების“ სურვილია, ამ არჩევნებში კანდიდატი კალაძე იყოს თავისი ფინანსური და ადამიანური რესურსით. ივანიშვილი კალაძის საარჩევნო კამპანიას არ დააფინანსებს, რადგან თვლის, რომ მან მერობის პერიოდში საკმაოდ დიდი თანხა დააგროვა, თან, კალაძე „ქართულ ოცნებაში“ ყველაზე რეიტინგული ფიგურაა. როდესაც „ოცნებაში“ ასეთი მძიმე მდგომარეობაა, კალაძეს თამაშგარედ ვერ დატოვებენ. ყველაფერთან ერთად, „ქართულმა ოცნებამ“ 43% უნდა დააგროვოს – არა კალაძე, არა გახარია, ამ პირობებში ძალიან გაუჭირდებათ, რასაც კარგად ხვდებიან.

თუ კალაძეს ახლა თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებენ, რიგგარეშე არჩევნებზე შეიძლება ეს „ოცნებას“ ბუმერანგად მოუბრუნდეს. არავინ იცის, რა თამაშს ითამაშებს. კალაძე თავის არჩევანში თავისუფალი რომ იყოს, სიამოვნებით გაიწეოდა ახლა გვერდზე და თავის საათს დაელოდებოდა. „ოცნებაში“ ყველა მისი მტერია, ეს კარგად იცის. ამიტომ „ოცნებაში“ ეს გათვლაც არის. ყველანაირად ეცდებიან, ბოლომდე „დახარჯონ“ და არ გაუშვან.

– რა გამოდის, კალაძეს არ უნდა?

– დიახ, არ უნდა. მერად დარჩენა არ არის მისი საბოლოო მიზანი. დედაქალაქის მერობა არ არის მარტივი საქმე, თან იცის, არავინ დაუფასებს.

– რაც შეეხება გახარიას, როგორ ფიქრობთ, რატომ არ ჩანს, ხომ არ გადაიფიქრა?

– აშკარაა, რომ გახარიას არ გამოსდის ისეთი მძლავრი გუნდის შეკვრა, როგორზეც ალბათ თავად ფიქრობდა, თან, ეს იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლებიდან, ძალოვანი სტრუქტურებიდან არანაირი წინააღმდეგობა არ არის. გახარიას ხელს არ უშლიან პარტიის ჩამოყალიბებაში, მაგრამ მაინც რაღაც ისე ვერ არის. თუმცა „ქართული ოცნება“ იმასაც კარგად ხვდება, რომ 43-% პირობებში გახარიას არჩევნებში მონაწილეობა მათთვის დამანგრეველი იქნება. არჩევნებში გახარიას აქტიურად მონაწილეობის შემთხვევაში „ოცნებისთვის“ 43%-ის დაგროვება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. არ გამოვრიცხავ, ეს მოცემულობა გახარიამ კოზირად გამოიყენოს და ხელისუფლებასთან ივაჭროს.

მეორე ვარიანტიც არის: გახარია ასე დუმილით 2024 წლამდე ვერ მიაღწევს, თუ, როგორც პოლიტიკოსი, არჩევნებში არ მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ, თუ „ქართული ოცნება“ არჩევნებს გააყალბებს და 43%-ს დაიწერს, ოპოზიცია აჯანყდება, ისევ ქუჩაში გავა, ამ დროს გახარიას ექნება საშუალება, საპარლამენტო კრიზისი შექმნას.

– პარლამენტში მისმა მომხრეებმა?

– დიახ, „ქართული ოცნების“ 10-15 დეპუტატის დახმარებით და ისევ გახარია მოგვევლინება გადამრჩენად. არაფერი არ არის გამორიცხული, მით უფრო, როდესაც სიტუაცია არჩევნების წინ ასეთი ჭრელია. მას შეეძლო, სასტარტო პირობები ჰქონდა, რომ საკმაოდ პერსპექტიული და მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაცია შეექმნა, თუმცა არსებობს მის მიმართ კითხვები, რომლებზეც პასუხები არ აქვს.

– არ მითხრათ, რომ ამ კითხვების ეშინია.

– თუ ამ კითხვების ეშინია, მაშინ რატომ თქვა, არსად წავსულვარ, პოლიტიკაში ვრჩებიო?! ამ კითხვებზე მან პასუხები უნდა გასცეს. ალბათ უფრო საბოლოო სურათის ჩამოყალიბებას ელოდება, რადგან ორი დღის წინ ზუგდიდის მერის გადადგომამ აჩვენა, რომ ის პარტიულ სტრუქტურას ქმნის და დროს არ კარგავს.

– თბილისის მერობის კანდიდატად ელოდებით? თუ გახარიაც იყრის კენჭს, კალაძეც და მელიაც, ეს იქნება მხოლოდ თბილისის მერობისთვის ბრძოლა?

– არა, ეს უკვე იქნება აბსოლუტური ძალაუფლებისთვის, ხელისუფლებისთვის ბრძოლა. პირდაპირ გეტყვით, ეს უკვე იქნება ლიდერის გამოკვეთისთვის ბრძოლა, თუმცა, ვინც ამ ორთაბრძოლას წააგებს, ის უკვე პროცესს საერთოდ ჩაეხსნება. ამ ბრძოლაში მელიას საკმაოდ სერიოზული უპირატესობა ექნება.

– რატომ?

– კალაძე და გახარია ერთ ხმებზე „სხედან“, რომელიც გაყოფის შემთხვევაში მინიმალური იქნება. გლდანის არჩევნებს თუ გავიხსენებთ, მელიას ორჯერ მეტი ხმა ექნება.

– მაგრამ ნიკა მელია რამდენად შეძლებს, მართლაც გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი იყოს?

– არ სჭირდება, თუ გლდანის არჩევნების შედეგებს ვნახავთ, სადაც მას გიორგი ვაშაძემ და „ლელომ“ მხარი არ დაუჭირეს. ელისაშვილი ის ფიგურა უკვე ვეღარ იქნება. ზურა (გირჩი) ჯაფარიძე ალბათ დაუჭერს, თუმცა ბევრი რამე დამოკიდებული იქნება იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ უნდა მიიღოს. თუ პარლამენტში შევლენ, მაშინ ბევრი რამ ლოგიკას აღარ დაექვემდებარება. ამ შემთხვევაში არც იმას გამოვრიცხავ, რომ ბევრი ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველი გახარიასკენ წავიდეს. ამიტომ ნაციონალების გადაწყვეტილებაზე პარლამენტში შესვლა-არშესვლაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„უცნობი“, გახარია, ვასაძე – სამივე ნაფტალიდან ამოღებული სახეა“

ბეჟან ნათელაშვილი: „ქართულ ოცნებას“ 43%-ის დაწერა არ გაუჭირდება“

მარიამ მჭედლიშვილი

ლეიბორისტული პარტია კატეგორიულად გამორიცხავს მოქმედ პარლამენტში შესვლას. რა ხდება ოპოზიციაში? როგორია მმართველი პარტიის პოლიტიკური მომავალი? რატომ ვერ გაქარწყლდება ნიკა მელიას დამსახურება? ვის რისთვის სჭირდება ძველი სახეების გაცოცხლება და პოლიტიკაში მოყვანა? — ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის წევრ ბეჟან ნათელაშვილს.

– ოპოზიცია, რომელსაც გაერთიანებულ ოპოზიციას ვუწოდებდით, გაიყო – მისმა ნაწილმა შეწყვიტა ბოიკოტი და საკანონმდებლო საქმიანობას შეუერთდა. ლეიბორისტებმა ადრინდელი პოზიცია არ შეიცვალეთ. ამ სიტუაციაში როგორი იქნება ოპოზიციის სამომავლო გეგმები?

– დავიწყოთ იმით, თუ რას ჰპირდებოდა გაერთიანებული ოპოზიცია ხალხს. 2020 წლის 31 ოქტომბრის შემდეგ ყველანი ვამბობდით, რომ არჩევნები მასობრივად გაყალბდა, რომ ეს პარლამენტი ყალბია და ოპოზიცია იქ არ შევა. ოპოზიცია მოითხოვდა ვადამდელ არჩევნებს. ვინც ამაზე ვენებს იჭრიდა, იმან თავის პოზიციასაც უღალატა და საზოგადოებასაც. ეს პოლიტიკოსები ნიკა გვარამიას ეთერში ლამის სპეციალურ რიტუალებს ატარებდნენ, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მემორანდუმს აფორმებდნენ, ერთმანეთს ეფიცებოდნენ, პარლამენტში ფეხს არ შევდგამთო. არ შედგეს კი არა, იშვირეს ფეხი და შეცვივდნენ, ოღონდ, პარლამენტში – არა. ეს ხომ პარლამენტი არ არის!

– აბა, რა არის?

– ეს პარლამენტი, თანაც მრავალპარტიული საკანონმდებლო ორგანო კი არა, „ქართული ოცნების“ ოფისი და პოლიტსაბჭოა. მრავალპარტიული პარლამენტი ამ სტრუქტურას არ მიესადაგება. ეს ორპირი ვაიოპოზიციონერები შეჯლიგინდნენ ამ ოფისში და მაშინვე გაქოცდნენ თუ გაქოციანდნენ. მათ „გაუპრავეს“ ქოცებს არჩევნები და არალეგიტიმური ე.წ. პარლამენტი. ხალხი ხომ გადაადგეს და გააცურეს. ოპოზიციის პირველი დაპირება იყო პარლამენტში არშესვლა და ბრძოლა. პირველივე დაპირებაზე რომ გადააგდეს ხალხი, სხვა დაპირებებს შეასრულებენ?!

„იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც 19 აპრილის შემდეგ შევიდნენ პარლამენტში, ჯერ კიდევ დარჩათ გადარჩენის შანსი“

– სხვა დაპირებები რომელია?

– წინასაარჩევნო საპროგრამო დაპირებები ყველას აქვს. ორპირი პოლიტიკოსების არც ერთი დაპირება არ დაიჯერება. ქართველი ხალხი ისეთი მაზოხისტი არ არის, რომ ამათ კიდევ ენდოს.

– ოპოზიციის მომავალზე რის თქმა შეიძლება?

– ესენი რომ არ გაქოციანებულიყვნენ, გაერთიანებული ოპოზიცია, რომელიც ხშირად ლეიბორისტული პარტიის ოფისში იკრიბებოდა, წარმატების პიკზე იყო. პროცესი მიმდინარეობდა. ოპოზიციის ამ ნაწილის საქციელმა ერთობა დაუზარალა და დაასუსტა. ქართველი ხალხი გულმოწყალეა და შეიძლება, ამ ორპირებს შანსი მისცეს. ამისათვის მათ უნდა დატოვონ დეპუტატების მანდატები და გამოვიდნენ ქოცების ოფისიდან, რომელსაც პარლამენტს უწოდებენ. იმ პოლიტიკოსებზე ვსაუბრობ, რომლებიც 19 აპრილის შემდეგ შეჯლიგინდნენ პარლამენტში, თორემ ელისაშვილი და იოსელიანი, რომლის ძმას ჰიდროენერგეტიკაში ბიზნესი აქვს და ქვეყნის ბუნებას აზიანებს, ცალკე არიან. ისინი არანაირ ოპოზიციას არ წარმოადგენენ. რომ შევიდნენ და ქოცებთან შეთანხმდნენ, რას მიაღწიეს? გაუგებარ 43%-ს. ეს არც რეფერენდუმია და არც ვადამდელი არჩევნების თარიღია გარკვეული. მუსხელიშვილი რომ წამოაყენო საფლავიდან, ისიც ვერ ახსნის, რას ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე შემოღებული ეს პროცენტული მაჩვენებელი. თუ მმართველი პარტია ამაზე ნაკლებს აიღებს, ვადამდელი ინიშნებაო. კი მაგრამ, აქამდე თუ იწერდა, რაც უნდოდა, ახლა რატომ ვერ დაიწერს!

– მმართველი პარტიიდან ხალხი გარბის. ეს არ იმოქმედებს არჩევნებზე?

– ვირთხის ალღოთი გრძნობენ, რომ გემი იძირება და გარბიან. ნაწილი კიდევ წავა, მაგრამ ამხელა ადმინისტრაციული რესურსი რჩება „ქართულ ოცნებას“. არჩევნების დროს ხალხის დაშინებასა და მოსყიდვასაც მიმართავენ. ეს თუ არ იქნა საკმარისი, შემოხაზულ ბიულეტენებს ჩაყრიან. საზოგადოებას მიშა სააკაშვილითაც ხომ ატერორებენ! კიდევ ეტყვიან, მიშა მოვა ცოცხითო.

– არ გაქვთ იმედი, რომ 2022 წელს ვადამდელი არჩევნები გაიმართება?

– იმედი არ უნდა დავკარგოთ. ყველაფერი კარგად მიდიოდა, ჩვენი ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდებოდა, რომ არა ამ პოლიტიკოსების შეჯლიგინება. ერთ-ერთი პირველი ამაში სალომე სამადაშვილი იყო. ოპოზიციის კოორდინაციის შემთხვევაში, შეიძლება, რაღაცას მივაღწიოთ. შალვა ნათელაშვილის გარდა, საოცარ პრინციპულობას იჩენენ თაკო ჩარკვიანი, ელენე ხოშტარია, ნატო ჩხეიძე. „ლეიბორისტებისა“ და „ევროპული საქართველოს“ გარდა (ამ პარტიის სიით გასულების გარდა), არ შესულა ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტია – ნაციონალური მოძრაობა. ნაცმოძრაობის ბლოკში იყვნენ ბიზნესმენები ოქრიაშვილი და ჩოჩელი. ლეიბორისტებს მათთვის კრიტიკა არ მოგვიკლია. მეგონა, პირველები ეგენი შევიდოდნენ პარლამენტში, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს.

– ნიკა მელიას ფაქტორზე რას იტყვით?

– ნიკა მელიას დამსახურება დიდია. მან თავისი ისტორია დაწერა. „ქართული ოცნება“ ცდილობს ამის გაქარწყლებას, მაგრამ არ გამოსდის. ნიკა მელიამ პროცესები ადგილიდან დაძრა. მან პრინციპულად არ გადაიხადა გირაო. ნიკა მელია არის ანტისაოკუპაციო აქციის მონაწილე. ის, რომ ორი წლის წინ, 20-21 ივნისს, ხელისუფლებამ დაარბია ამ აქციის მონაწილეები და მათ გამიზნულად ესროდა თვალებში, სცემდა ჟურნალისტებს, არის რუსეთუმეობის მაჩვენებელი. ამით ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ პუტინის წინდაა.

– ამნისტიას 20 ივნისის მოვლენებზე და ამის გამო არდასჯილ დამრბევებს ნიკა მელიას სახელს არ დაუკავშირებენ?

– არა. ნიკა მელიამ განაცხადა, რომ არ ეთანხმება ამნისტიას. იგი დაეთანხმა ევროკავშირის გირაოს. ეს სწორია, იმიტომ, რომ ამით ის ფაქტობრივად აღიარეს პოლიტპატიმრად, საქართველოს ხელისუფლება კი – არადემოკრატიულად. კარგი იქნებოდა, ევროკავშირს სხვა რამეც გაეკეთებინა – ოლიგარქისთვის სანქციები დაეწესებინა. აი, მაშინ კი ივანიშვილი მართლა გაცუნცულდებოდა პოლიტიკიდან.

– პოლიტიკაში ახალი ძალები იქმნება. არენაზე შემოსვლას აპირებენ „უცნობი“, გახარია, ვასაძე.

– სამივე ნაფტალინიდან ამოღებული სახეა. „უცნობმა“ თვითონ აღიარა, რომ სააკაშვილთან გარიგების გამო დაშალა მრავალრიცხოვანი აქცია იპოდრომზე. ეს კაცი პოლიტიკით ფულს შოულობს. გახარია ისტორიაში შევა თვალების მთხრელის სამარცხვინო იმიჯით. ჩვენ ვიცით, რომ აქციის დარბევის ბრძანება ივანიშვილმა გასცა. ამას რა მნიშვნელობა აქვს! გახარიამ ხომ დაიბრალა და აიღო პასუხისმგებლობა? ამისათვის უნდა მიეზღოს. „რაინდად“ წოდებული ბიზნესმენი ვასაძე ტიპური აფერისტია. ესენი ყველანი არიან რუსეთის მიერ მოფიქრებული ალტერნატივები.

– ვისი ალტერნატივები? აღნიშნეთ, რომ „ოცნება“ ჯერ არსად მიდის.

– თუ ივანიშვილი თავისი ადმინისტრაციული რესურსებითა და სხვა ხრიკებით ვერ იმარჯვებს, უნდა იყოს სათადარიგო ძალები. მარტო ადმინისტრაციული რესურსებით „ოცნება“ 20%-ზე მეტს ვერ აიღებს. რუსეთს სჭირდება თავისი ხალხი საქართველოში. სხვა მითითებებთან ერთად, ამ პირებმა საერთაშორისო ორგანიზაციებში ხმა არ უნდა მისცენ რუსეთისთვის სანქციების დაწესებას. ვერც „უცნობი“, ვერც გახარია და ვერც ვასაძე არჩევნებზე სერიოზულ შედეგს ვერ დადებენ. თითოეულმა შეიძლება მიიღოს სამ-სამი პროცენტი. მათ ხმას მისცემს ტვინგაწყალებული და დაბნეული ამომრჩეველი.

გიგი უგულავა: „მე ტარიელ ნაკაიძეს არ დავკარგავდი“

– როდესაც ბოიკოტი აღარ არის, როგორც ერთპარტიული პარლამენტია ცოდო საყურებელი, ისევე ცოდო საყურებელია ერთპარტიული ბოიკოტი.

ასე ეხმაურება პოლიტიკოსი გიგი უგულავა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ ევროპული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით, პარტია პარლამენტში შესვლას არ აპირებს.

უგულავას შეფასებით, ლოგიკურია, რომ პარტიის კიდევ ერთი წევრი ტარიელ ნაკაიძე პარლამენტში შევიდა, თუმცა პარტიამ თავად გადაწყვიტა, რომ თანმიმდევრულობა ადამიანს ურჩევნია.

– მე ამ გადაწყვეტილებას ბოლომდე არ ვიზიარებ, თუმცა ეს არსებითად მოცემულობას არ ცვლის. პოლიტიკური პროცესისთვის მთავარია, რას იზამს ნაციონალური მოძრაობა. „ევროპულ საქართველოს“ ძალიან ღირსეულად, კარგად და საინტერესოდ წარმოადგენდა პარლამენტში ტარიელ ნაკაიძე, რომელიც საქართველოს ისტორიაში პირველი ქართველი მუსლიმია, რომელიც საქართველოს პარლამენტშია არჩეული, მას ძალიან სპეციფიკური ამომრჩეველიც ჰყავს და საკმაოდ კარგი შედეგიც ანახა თავის ოლქში, მთიან აჭარაში.

გასაგებია, როდესაც მრავალპარტიული ბოიკოტი იყო, მაგრამ როდესაც ბოიკოტი აღარ არის, როგორც ერთპარტიული პარლამენტია ცოდო საყურებელი, ისევე ცოდო საყურებელია ერთპარტიული ბოიკოტი. ლოგიკურია, რომ ტარიელი შევიდა პარლამენტში, მგონი, ეს პარტიასაც არ დაუძრახავს, თუმცა მათ თავად გადაწყვიტეს, რომ თანმიმდევრულობა ურჩევნიათ პრაგმატიზმს და ადამიანს, რომელიც ამ პარტიისათვის დაიკარგა, – აღნიშნა გიგი უგულავამ.

წამყვანის კითხვაზე, თუ რა პერსპექტივა აქვს ბოიკოტში „ევროპულ საქართველოს“ ნაციონალური მოძრაობის პარლამენტში შესვლის შემთხვევაში, უგულავამ განაცხადა: „არანაირი“.

მისივე თქმით, „ბოიკოტი უბრალოდ, პრინციპია“.

– იქნება მარტო ბოიკოტში და „ლეიბორისტული პარტია“ მოემზადება შემდეგი არჩევნებისათვის. 4-5 მანდატი ჰქონდა „ევროპულ საქართველოს“, როდესაც 4 ადამიანი შესულია, ბოიკოტი, უბრალოდ, პრინციპია. პარტიას უხდება პრინციპულობა, უბრალოდ, მე ტარიელ ნაკაიძეს არ დავკარგავდი, მეტი არაფერი. ამ პარტიას სხვა უფრო დიდი პრობლემები და გამოწვევები აქვს, ვიდრე პარლამენტში ერთი თუ ორი კაცი ეყოლებათ. პარტიამ დიდი კრიზისი გაიარა, მე ამაზე საუბარი დავასრულე, როდესაც ჩემი გადაწყვეტილება მივიღე, – განაცხადა გიგი უგულავამ.

„ვამაყობ, რომ ნიკა მელიას თანამებრძოლი ვარ“

სააკაშვილის განცხადება

საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და ენმ-ს თავმჯდომარე ნიკა მელიას შორის კიევში შეხვედრები გრძელდება. მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელში შეხვედრის ამსახველი ვიდეო გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნავს, რომ მელიას თანამებრძოლობა ეამაყება.

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ნამდვილი გმირი, ნიკა მელია არის ჩამოსული კიევში ხანმოკლე, ძალიან დატვირთული სამუშაო ვიზიტით. მე მის ადგილას დავისვენებდი ციხის მერე. რასაც ვუყურებ, იმხელა ენერგია აქვს და იმხელა დრაივი აქვს, რომ ერთი წამი არ შეუძლია დაჯდომა და დასვენება, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს არის გამარჯვების საწინდარი, იმიტომ რომ ძალიან დიდი გეგმები აქვს ნიკას და ძალიან მაღალი ტალღა ასწია ქართველი ხალხის დასახმარებლად. ჩემი აზრით, ეს მართლა უნიკალური კომბინაციაა, ასე რომ, ძალიან ვამაყობ, რომ მისი თანამებრძოლი ვარ, აღფრთოვანებული ვარ მისი გამბედაობით, შეუვალობითა და პრინციპულობით, რაც გამოიჩინა. ჩვენს ხალხს ყველაფერი გამოუვა, – ამბობს მიხეილ სააკაშვილი.

„ნაციონალურმა მოძრაობამ წააგო“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

შეკრიბო, ჩამოყალიბდე, გათვალო შენი რესურსები და მერე დაიწყო განცხადებების კეთება. ჯერ არ ყვირის და, ჩემი აზრით, ძალიან სწორად იქცევა. მას ინტრიგა სჭირდება. ვნახოთ, რას იზამს. თუ მართალია ის ხმები, რომ გახარია საბოლოო ჯამში მაინც ივანიშვილის თამაშს ითამაშებს, ამით ივანიშვილს არანაირი საფრთხე არ ექმნება. „ოცნებაო“, გავიძახით და მთავარი ხომ ივანიშვილის ფაქტორია!

– ეს კითხვა ჯერ ისევ პასუხგაუცემელია, არის თუ არა გახარია ივანიშვილის კადრი?

– მე ეს ნამდვილად არ ვიცი და მეეჭვება, ბარე ორმა იცოდეს, რა ხდება სინამდვილეში. თუ გახარია ივანიშვილის თამაშს თამაშობს, მაშინ ივანიშვილს საფრთხე არ ემუქრება და, შესაბამისად, მთელი ეს მითქმა-მოთქმა, რომ „ოცნება“ იშლება და ჩამონგრევის პირასაა, ბევრს არაფერს მოასწავებს.

– თუკი გახარიას წარმატებას ხელი არ შეუშალა ივანიშვილმა და მან საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა არჩევნებზე, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ის მართლაც ივანიშვილის კადრია. სხვა შემთხვევაში ივანიშვილი ასე მარტივად არ აძლევს ოპოზიციას გასაქანს.

– აბსოლუტურად გეთანხმებით, ბევრი რამ აქედანაც გამოჩნდება. ეს იქნება ძალიან კარგი ინდიკატორი.

– თქვენ რა მოლოდინი გაქვთ, საით გადაწონის?

– ხელისუფლებას ყოველთვის მეტი უპირატესობა აქვს, მით უმეტეს – ადგილობრივ არჩევნებზე. მოხერხდება ადმინისტრაციული რესურსის მობილიზაცია და ამით უფრო ადვილად იგებენ ადგილობრივ არჩევნებს, ვიდრე საპარლამენტოს. ადგილობრივ არჩევნებზე აქტივობაც დაბალია და ეს ხელისუფლებას აწყობს. შესაბამისად, აქ არაფერი სასწაული არ მოხდება. ყველაზე უფრო საინტერესო იქნება, რას იზამს გახარიას პარტია და ასევე ვასაძეც საინტერესო იქნება. ასევე საინტერესოა, რამდენ პროცენტს აიღებს ნაცმოძრაობა. ცხადია, უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე საპარლამენტოზე აიღეს. ეს იქნება სერიოზული რეპეტიცია 2024 წლისთვის, გამოიკვეთება ლიდერი პარტიები. სწორედ ამით არის ეს არჩევნები საინტერესო.

„გაზის მილზე ფეხი დაუცდა და ქვევით ჩავარდა“

თბილისში, პეკინზე, საერთო საცხოვრებელში ხანძარს ხათუნა ალანია შეეწირა

გუშინ, 18 მაისს, დილას, თბილისში, პეკინის ქუჩაზე, საერთო საცხოვრებელში ხანძარი გაჩნდა.

მეხანძრე-მაშველებმა შემთხვევის ადგილიდან მოსახლეობის ევაკუაცია განახორციელეს.

ადგილობრივების ვარაუდით, შემთხვევა, სავარაუდოდ, მოკლე ჩართვამ გამოიწვია.

მეხანძრე-მაშველებმა პეკინის გამზირზე ცეცხლმოკიდებული კორპუსიდან ბავშვები გამოიყვანეს. მომხდარის დეტალებზე ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა შეტყობინება, რომ თბილისში, პეკინის გამზირზე საცხოვრებელ კორპუსში შეინიშნებოდა ძლიერი დაკვამლიანება და ღია ცეცხლი. მისამართზე მისული სახანძრო-სამაშველო ჯგუფების გადმოცემით, ცეცხლი მე-5 სართულზე გაჩნდა, რამაც ხანძრის ზედა სართულებზე გავრცელება გამოიწვია.

მეხანძრე-მაშველებმა, ძლიერი დაკვამლიანების გამო, მეზობელი ბინებიდან, უსაფრთხოების მიზნით მოქალაქეები გამოიყვანეს, მათ შორის იყვნენ არასრულწლოვნებიც. მოსახლეობის ევაკუაცია განხორციელდა როგორც სადარბაზოდან, ასევე, სახანძრო კიბის საშუალებით.

პარალელურად მიმდინარეობდა ქრობის აქტიური სამუშაოები.

არსებობდა ცეცხლის დიდ ფართობზე გავრცელების საფრთხე, თუმცა მეხანძრე-მაშველების ოპერატიული რეაგირების შედეგად მოხერხდა ხანძრის დროული ლოკალიზება და საშიშროება აღიკვეთა. საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილი ხანძარი ამ დროისთვის უკვე ლიკვიდირებულია.

ადგილზე მუშაობდა 14 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი. მობილიზებული იყო ყველა შესაბამისი აღჭურვილობა და ტექნიკა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ხანძრისას მე-5 სართულიდან ახალგაზრდა ქალი გადავარდა, რომელიც კლინიკაში გარდაიცვალა.

გარდაცვლილი ხათუნა (თამარ) ალანია წარმოშობით ხობის რაიონის სოფელ ზემო ქვალონიდანაა.

აღნიშნულ ინფორმაციას სოფელ ზემო ქვალონის მერის წარმომადგენელი ღევან ალანია ადასტურებს.

– მშობლები გარდაცვლილი ჰყავს ხათუნას, მისი ნათლობის სახელია თამარი. დიდი ხანია, იგი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად, იქ მუშაობდა. აქ სოფელში მამისეულ სახლში ორი ძმა, რძალი და ძმისშვილი ცხოვრობენ. ტელევიზიით გავიგეთ, რაც მოხდა, – ამბობს რწმუნებული.

ახალგაზრდა ქალმა ბინა, სადაც ხანძარი გაჩნდა, ცოტა ხნის წინ შეიძინა და მარტო ცხოვრობდა.

როგორც გარდაცვლილის მეგობარი „პრაიმტაიმს“ უყვება, 18 მაისს მეგობართან ერთად ბოტანიკურ ბაღში უნდა წასულიყო. ეს მისი უკანასკნელი გეგმა გამოდგა.

ხათუნა ალანია თბილისში უძრავი ქონების ბროკერად მუშაობდა.

– ხათუნა ხობის რაიონიდან იყო. მას თამარით მივმართავდი. ეს მისი ნათლობის სახელი იყო. ერთმანეთი ტურზე გავიცანით, ორივეს გვიყვარდა სიარული. რამდენიმე დღის წინ მთხოვა, შევხვდეთო, დღეს კი გადაწყვეტილი გვქონდა ბოტანიკურ ბაღში ერთად გასეირნება.

მომხდარზე არაფერი ვიცოდი, დილიდან ვწერდი, გაიღვიძე, მოვემზადოთ და წავიდეთ-მეთქი, არ მპასუხობდა, მეგონა, ეძინა. მერე მისმა ბიძაშვილმა მომწერა, ცუდი ამბავიაო და ეს საშინელება გავიგე. შოკიდან ვერ გამოვდივარ, ბოლოს წუხელ ვისაუბრეთ, დღე დავგეგმეთ და ასე მოხდა.

სახლი, სადაც ის ცხოვრობდა, თავად შეიძინა. ახლა იმ კორპუსთან მივდივარ, სადაც მეგობარი დავკარგე, – ამბობს ინგა ჯიქია.

ახალგაზრდა ქალი შიშის გამო შენობიდან გამოღწევას ცდილობდა, როდესაც მე-5 სართულის ფანჯრიდან ძირს ჩამოსასვლელად გაზის მილს გამოჰყვა. მეზობლების ცნობით, ქალს ფეხი დაუცურდა და ჩავარდა.

დაშავებული სასწრაფო დახმარების მანქანამ საავადმყოფოში გადაიყვანა. ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

გლდანში 21 წლის გიგი თოლორაია დაჭრეს

ის შეყვარებულთან პაემანზე მიდიოდა

გუშინ, 18 მაისს, გლდანში 21 წლის ზუგდიდელი გიგი თოლორაია ცივი იარაღით დაჭრეს.

მას ჭრილობები ზურგის არეში აქვს მიყენებული და ოპერაცია კლინიკაში შეყვანისთანავე ჩაუტარდა.

ნათესავების ინფორმაციით, მდგომარეობა მძიმეა.

როგორც ირკვევა, გიგი თოლორაია შეყვარებულთან პაემანზე მიდიოდა, როდესაც მას 60 წლამდე მამაკაცმა ზურგის არეში დანა სამჯერ ჩაარტყა.

შემთხვევა ომარ ხიზანიშვილის 56 ნომრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

დაჭრას თვითმხილველი ჰყავს. როგორც ქალი „მთავართან“ საუბარში ამბობს, დაინახა, როგორ დაესხა თავს შეიარაღებული პირი ახალგაზრდას.

როგორც თვითმხილველი ამბობს, დაჭრამდე არანაირ შელაპარაკებას ან კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია და, როგორც დაჭრილმა უთხრა, თავდამსხმელს არც კი იცნობდა.

– ვიღაცამ დაარტყა დანა და გაიქცა. ის ბიჭი თავისთვის მოდიოდა, კიბეზე უნდა ასულიყო, – ამბობს თვითმხილველი.

ზუგდიდელი ბიჭის ახლობლების თქმით, თოლორაიას ფსიქიკურად შეურაცხადი მამაკაცი დაესხა თავს.

ბიჭი ამ დრომდე რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება. საქმეში დევს ვიდეოსათვალთვალო კამერით გადაღებული კადრები, სადაც ჩანს, როგორ ურტყამს გამვლელი მამაკაცი ბიჭს დანას.

21 წლის ბიჭის დაჭრის ბრალდებით პოლიციამ თბილისში 60 წლამდე კაცი დააკავა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

მეუფე საბას სახლის ყაჩაღობაში ბრალდებულს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

სენაკის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ ყაჩაღობაში ბრალდებული რ.გ. დამნაშავედ ცნო.

პროკურატურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2020 წლის 7 აგვისტოს შეიარაღებულმა რ.გ.-მ და მასთან ერთად მყოფმა პირებმა უკანონოდ შეაღწიეს სენაკის რაიონის სოფელ ძველ სენაკში მდებარე ზ.გ.-ს საცხოვრებელ სახლში, სადაც თავს დაესხნენ სახლში მყოფ პირებს. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა დაზარალებულებს ფულადი თანხის და ძვირფასეულობის გადაცემა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ. თავდამსხმელები დაეუფლნენ ფულად თანხას და მობილურ ტელეფონს, საერთო ჯამში კი დაზარალებულებს 1527 ლარის ოდენობით ქონებრივი ზიანი მიაყენეს.

სამართალდამცველებმა რ.გ. რამდენიმე დღეში დაიკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით) და 236-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და ტარება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

სენაკის რაიონულმა სასამართლომ რ.გ. სრულად დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

„რუსთავი 2“-ის უძრავ ქონებას ყადაღა დაედო

„რუსთავი 2“-ის დამფუძნებლების დავით დვალისა და ჯარჯი აქიმიძის ადვოკატ კახა კოჟორიძის განცხადებით, სასამართლოს განჩინებით, „რუსთავი 2“-ის უძრავ ქონებას ყადაღა დაედო.

„კოჟორიძე და იურისტები“ საადვოკატო მომსახურებას უწევს „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლებს დავით დვალსა და ჯარჯი აქიმიძეს. სასამართლოს განჩინებით ყადაღა დაედო „რუსთავი 2“-ის უძრავ ქონებას – მიწის ნაკვეთებსა და მათზე არსებულ ყველა შენობა-ნაგებობას. აქამდე, ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, დაყადაღებული იყო „რუსთავი 2“-ის 60% წილი. ახლა ასევე დაყადაღდა „რუსთავი 2“-ის უძრავი ქონება სრულად.

ჩვენ ასევე ვითხოვდით „რუსთავი 2“-ის მოძრავი ნივთების დაყადაღებასა და ქიბარ ხალვაშისთვის გარკვეული უფლებამოსილებების შეზღუდვას. ჯ.აქიმიძე და დ.დვალი ითხოვდნენ ზუსტად იმ ღონისძიებებს, რაც სასამართლომ ქიბარ ხალვაშის მიერ 2015 წელს შეტანილ სარჩელზე გამოიყენა. მიუხედავად ამისა, რ2-ის დამფუძნებელთა მიმართ სასამართლომ კვლავ შერჩევითად იმოქმედა და ამ ნაწილში მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რაც გასაჩივრდება კანონით დადგენილი წესით. გამოვიყენებთ ყველა სამართლებრივ მექანიზმს, რომ „რუსთავი 2“ დაუბრუნდეს მის დამფუძნებლებს“, – წერს კახა კოჟორიძე სოციალურ ქსელში.

მერაბ ღოღობერიძემ ფინანსთა პოლიციის შენობასთან თავის დაწვა ცადა

ბათუმში არასამთავრობო ორგანიზაცია „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელმა მერაბ ღოღობერიძემ თავის დაწვა ცადა.

როგორც მისი ადვოკატი ზაზა პაპიძე ამბობს, მან პროტესტის უკიდურეს ფორმას ფინანსური პოლიციის მიერ დაწყებული გამოძიების გამო მიმართა. პაპიძე ამბობს, რომ პოლიცია ღოღობერიძის ორგანიზაციის საქმიანობით დაინტერესდა. როგორც ადვოკატი ამბობს, ღოღობერიძე საქმის დეტალების გასაცნობად მივიდა, გამომძიებლები კი არ შეხვდნენ. სწორედ, ფინანსური პოლიციის შენობასთან სცადა მან თავის დაწვა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ასეთი განცხადება გაავრცელა:

„ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარისა და გურიის სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე, უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე და 210-ე მუხლების პირველი ნაწილებით.

გამოძიება დაიწყო 2021 წლის 25 თებერვალს, შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე, რომლის თანახმად, დანაშაულებრივი სქემაში ჩართულია რამდენიმე კომპანია, რომელთა შორის ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადებითა და გამოყენებით, განხორციელებულია უკანონოდ მოპოვებული, მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ქვიშა-ხრეშის რეალიზაცია.

სამართალდამცავი უწყება, აქტიურად ახორციელებს საგამოძიებო მოქმედებებს საჭირო ფაქტობრივი გარემოებების გარკვევისა და შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირების გამოვლენა-მხილების მიზნით.

საზოგადოებას ეტაპობრივად მიეწოდება ინფორმაცია მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით“.

წყალტუბოში სკოლის მოსწავლე დაჭრეს

ის ჯარისკაცის შვილია

წყალტუბოში ახალგაზრდა დაჭრეს.

შემთხვევა 17 მაისს მე-3 საჯარო სკოლასთან მოხდა.

18 წლის ახალგაზრდა ამავე სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეა.

ის, სავარაუდოდ, 20 წლამდე მამაკაცმა დაჭრა.

ჩხუბის მიზეზი უცნობია. დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას ჭრილობა მუცლის არეში აქვს მიყენებული. დაშავებულს ოპერაცია ჩაუტარდა.

პირველების ცნობით, დაჭრილი საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარისკაცის შვილია. ერთ-ერთი ვერსიით ჩხუბი დაჭრილის თანაკლასელი გოგონას გამო მოხდა.

არსებული ინფორმაციით, ინციდენტში მონაწილე პირი დაკავებული არ არის.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება მიმდინარეობს 117-ე მუხლით, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. უწყებაში აცხადებენ, რომ მომხდარზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

თბილისის გეზში არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩინეს

გაფორმების ეკონომიკურ ზონაში „თბილისი“ სამართალდარღვევის ფაქტი გამოვლინდა. კერძოდ, ერთ-ერთი კომპანიის დეკლარანტის მიერ წინასწარ დეკლარირებულ იქნა ავტონაწილები და სარეკლამო საქონელი. საბაჟო დეკლარაციას, რისკების მართვის პროგრამის ფარგლებში, წითელი დერეფანი განესაზღვრა და დაექვემდებარა შემოწმებას, – ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ, განხორციელდა დეკლარაციის, თანმხლები დოკუმენტებისა და საქონლის ფიზიკური დათვალიერება. დეკლარირებულ და საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე რეალურად შემოტანილ საქონელს შორის შეუსაბამობა 22.882.16 ლარის ოდენობით დაფიქსირდა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

სადახლოზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტის კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტი აღიკვეთა

სადახლოზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტის კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტი აღიკვეთა, – ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, კონტეინერების კონტროლის დანაყოფის მიერ, რომელშიც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს წარმომადგენლებთან ერთად გაერთიანებული არიან ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები, ერთობლივი ღონისძიების შედეგად, „სადახლოს“ საბაჟო-გამშვებ პუნქტზე, რისკის ანალიზის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შეჩერდა საერთაშორისო გადაზიდვების განმახორციელებელი, უკრაინის რესპუბლიკის სანომრე ნიშნების მქონე სატვირთო ავტომობილი, რომლის დეტალური დათვალიერების შედეგად, ძარის კონსტრუქციაში მოწყობილ სპეციალურ სამალავში აღმოჩენილი იქნა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, დაახლოებით, 230 ათასი ლარის ღირებულების, აქციზურ მარკირებას დაქვემდებარებული არადეკლარირებული სიგარეტი.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე შემოსული მაღალი რისკის მქონე ტვირთების მკაცრი კონტროლი მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

უკრაინის რადამ მინისტრების მოხსნას მხარი დაუჭირა

უკრაინის უმაღლესმა რადამ ჯანდაცვის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრების თანამდებობიდან გადაყენებას მხარი დაუჭირა.

ჯანდაცვის მინისტრ მაქსიმ სტეპანოვის გადადგომას მხარი 292-მა დეპუტატმა დაუჭირა.

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა დენის შმიგალმა რადას მინისტრის გადაყენების შუამდგომლობით 14 მაისს მიმართა.

შმიგალმა ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე სტეპანოვის გადაყენების მიზეზებად ვაქცინაციის არადამაკმაყოფილებელი ტემპი და ვაქცინების მიწოდების ვადების მუდმივი გადადება დაასახელა.

სტეპანოვმა აღნიშნა, რომ მას თავად არ დაუწერია ჯანდაცვის სამინისტროს უფროსის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება.

სტეპანოვმა თანამდებობა 2020 წლის მარტში დაიკავა. სახელისუფლებო წრეებში ახალ კანდიდატად უკრაინის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ვიქტორ ლიაშკო სახელდება.

რადამ კიდევ ერთი მინისტრის გადაყენებას უყარა კენჭი. ეკონომიკის, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მინისტრ იგორ პეტრაშკოს გადადგომას მხარი 280 დეპუტატმა დაუჭირა.

მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზად უწყების მხრიდან ეკონომიკის განვითარების კუთხით ინიციატივების ნაკლებობა დასახელდა. რაც შეეხება ინფრასტრუქტურის მინისტრ ვლადისლავ კრიკლის, მის გადადგომას მხარი 284-მა დეპუტატმა დაუჭირა.

უკრაინული მედიის ცნობით, 14 მაისს თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით რადას იგორ პეტრაშკამ და ვლადისლავ კრიკლიმ თავად მიმართეს.

მათ გადადგომა პრეზიდენტმა ვლადიმირ ზელენსკიმ სთხოვა.

ნეთანიაჰუ: „ისრაელი სარაკეტო თავდასხმაზე ძალიან მკაცრ რეაგირებას მოახდენს“

– სამხედრო ოპერაცია კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდება, რის შემდეგაც ისრაელი თითოეულ რაკეტაზე პასუხის გამაკცრებას დაიწყებს.

ამის შესახებ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა.

– ოპერაცია კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდება. ამის შემდეგ სარაკეტო ცეცხლზე ძალიან მკაცრ რეაგირებას მოვახდენთ, – აღნიშნა ნეთანიაჰუმ.

ისრაელსა და პალესტინელებს შორის ორშაბათს დაწყებული თავდასხმების შედეგად, სულ მცირე, 213 პალესტინელი, მათ შორის 61 ბავშვი და 36 ქალია დაღუპული. ისრაელში დაღუპულთა რაოდენობა კი 12-მდე გაიზარდა.

ესპანეთმა სეუტაში ჯარი შეიყვანა

ესპანეთის ანკლავის, სეუტას ტერიტორიაზე მეზობელი მაროკოდან 6.000-მდე მიგრანტი შევიდა.

მიგრანტების უმეტესობა მაროკოელია და მათ შორის 1.500-მდე არასრულწლოვანია.

ესპანეთის ხელისუფლებამ სეუტაში ჯარისკაცები შეიყვანა, რომლებიც სასაზღვრო პოლიციას დაეხმარებიან და მაროკოსთან საზღვარზე პატრულირებას განახორციელებენ. შინაგან საქმეთა მინისტრმა ფერნანდო გრანდ-მარლასკამ განაცხადა, რომ სეუტას სასაზღვრო ძალებს 200 ჯარისკაცი და 200 პოლიციელი დაეხმარება.

ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა სეუტაში შექმნილი კრიზისის გამო პარიზში დაგეგმილი ვიზიტი გადადო. ესპანეთის სეუტასა და მელილას ანკლავები ცხოვრების უკეთესი პირობების პოვნის მიზნით ევროპაში ჩასვლის მსურველ აფრიკელ მიგრანტებს დიდი ხანია იზიდავს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მეხის დაცემამ გზიდან ასფალტის ნაჭერი ამოამტვრია და მანქანის საქარე მინა ჩაამსხვრია

ამერიკის ფლორიდის შტატში მეხის ჩამოვარდნის შედეგად მანქანის საქარე მინა ასფალტის ნამტვრევმა ჩაამსხვრია, რასაც მგზავრის დაშავება მოჰყვა.

ჭექა-ქუხილის დროს მეხი გზის სავალ ნაწილს მოძრავი პიკაპის წინ დაეცა. მეხმა გზის საფარიდან მსხვილი ნაჭერი ამოამტვრია, რომელმაც ავტომობილის კაბინა გამჭოლად დააზიანა და მძღოლი და მგზავრი მინის ნამსხვრევებით დააშავა.

– ეს უნიკალური შემთხვევაა, რომელიც, სავარაუდოდ, აღარასოდეს განმეორდება, – განაცხადა უოლტონის ოლქის სახანძრო-სამაშველო რაზმის ხელმძღვანელმა კრისტოფერ ბრაუნმა.

აღნიშნული ინციდენტი ორშაბათ დილით, 10 მაისს მოხდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველებმა მინის ნამსხვრევებისგან მიყენებული მრავლობითი დაზიანებებით დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ბრაუნის თქმით, მანქანის მძღოლსა და მგზავრს ძალიან გაუმართლათ, ვინაიდან ასფალტის ნამტვრევი, შესაძლოა, პირდაპირ რომელიმე მათგანს მოხვედროდა ან მანქანა ისე დაეზიანებინა, რომ ის სველ გზაზე გადაბრუნებულიყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მენტორი შვიდი — სპრეი ტუბი

გრიპის, პლევრიტის, ალერგიისა და გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად შექმნილია ანტიალერგიული სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება „მენტორი 7“. დაფასოებულია სპრეი ტუბებში.

მიღების წესი: კარგად გათავისუფლდეს ცხვირის არხები გამონადენისაგან, წამალი შევისხუროთ 2-3-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში. წამლის მიღების შემდეგ უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება და თანდათან წყდება გამონადენი ცხვირიდან.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

ვილი სანიოლის რაზმი: უკაპიტნოდ და დებიუტანტით

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ივნისში 2 ამხანაგურ მატჩს გამართავს. 2 ივნისს რუმინეთისა და საქართველოს მატჩს ქალაქი პლოიეშტი უმასპინძლებს, ხოლო 6 ივნისს ქართველი ფეხბურთელები ქალაქ ენსხედეში ნიდერლანდებს დაუპირისპირდებიან.

ვილი სანიოლის ხელმძღვანელობით ეროვნული ნაკრები მომდევნო 24 მაისიდან თბილისში შეიკრიბება და ივნისში გასამართი ამხანაგური მატჩებისთვის 31 მაისის ჩათვლით საწვრთნელ შეკრებას გაივლის.

რუმინეთთან და ნიდერლანდებთან შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად ვილი სანიოლმა 26 ფეხბურთელი გამოიძახა. მათ შორის ერთი დებიუტანტია, ეროვნული ლიგის 22 წლის ფეხბურთელი სერგო კუხიანიძე, რომელმაც მიმდინარე სეზონში წყალტუბოს სამგურალის მაისურით ხუთი გოლი გაიტანა.

მომდევნო ორ შეხვედრაში ტრავმის გამო ნაკრებს კაპიტანი ჯაბა კანკავა ვერ დაეხმარება.

სერგო კუხიანიძე:

– როდესაც დამირეკეს და მითხრეს, ეროვნული ნაკრების განაცხადში ვიყავი, ცრემლები წამომივიდა, სიტყვებს თავს ვერ ვუყრიდი. ცოტა ხანი სიხარულისგან სად წავსულიყავი და რა გამეკეთებინა, აღარ ვიცოდი. როგორც ყველა ფეხბურთელს, მეც მსურდა, ვყოფილიყავი ეროვნული გუნდის წევრი. მაქსიმუმს გავიღებ, რათა ვილი სანიოლისა და გულშემატკივართა იმედები გავამართლო. დიდი იმედი მაქვს, ორივე მატჩში გავიმარჯვებთ და ქართველ გულშემატკივარს გავახარებთ.

ვილი სანიოლის სია ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ), გიორგი მამარდაშვილი (ლოკომოტივი);

მცველები: გურამ კაშია (ლოკომოტივი), ოთარ კაკაბაძე (ტენერიფე, ესპანეთი), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), დავით ხოჭოლავა (მახტარი, უკრაინა), გურამ გიორბელიძე (ვოლფსბერგერი, ავსტრია), სოლომონ კვირკველია (როტორი, რუსეთი), გრიგოლ ჩაბრაძე, ირაკლი აზაროვი (ორივე, დინამო ბთ.);

ნახევარმცველები: ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), გიორგი აბურჯანია (კარტახენა, ესპანეთი), საბა ლობჟანიძე (ანკარაგუჯუ, თურქეთი), ჯაბა ჯიღაური (დინამო ბთ.), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), ზურიკო დავითაშვილი (როტორი, რუსეთი), მურთაზ დაუშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ვაკო ყაზაიშვილი (ულსანი, ს.კორეა), ლევან შენგელია (ქონია, თურქეთი);

თავდამსხმელები: თორნიკე ოქრიაშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მიქაუტაძე (სერენი, ბელგია), სერგო კუხიანიძე (სამგურალი), ბუდუ ზივზივაძე (ფეჰერვარი, უნგრეთი).

ბარსამ გეგმები დააწყო

ესპანური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბარსელონის პრეზიდენტი ჟოან ლაპორტა გუნდში მასშტაბური ცვლილებების განხორციელებას იწყებს.

ლაპორტა სერხი რობერტოსთან, ჟერარ პიკესთან, სერხიო ბუსკეტსთან და ანტუან გრიზმანთან კონტრაქტების ფინანსური პირობების გადახედვას აპირებს. პრეზიდენტი ამ ფეხბურთელებთან მათ ხელფასებსა და გუნდში მნიშვნელობას განიხილავს. კლუბი ანაზღაურების შემცირებას სთხოვს. თუ ისინი ამაზე უარს იტყვიან, ოთხეულს გუნდიდან გაუშვებენ.

წამსვლელთა შორის ასევე მოიაზრებიან ნეტუ, სამუელ უმტიტი, მირალემ პიანიჩი, ჟუნიორ ფირპო, მატეუს ფერნანდესი, ფილიპე კოუტინიო და მარტინ ბრეითუეიტი.

რაც შეეხება ლიონელ მესის, ლაპორტას გუნდის კაპიტანთან კონტრაქტის გახანგრძლივება ნებისმიერ ფასად სურს. მისთვის ლეოსთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება პრიორიტეტულია, მაგრამ მიმდინარე ფინანსური აუდიტი სიტუაციას ართულებს, რადგან კლუბის ზუსტი ეკონომიკური მდგომარეობა ცნობილი ჯერ კიდევ არ არის.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქეთი მაჭავარიანის ფილმმა ჟიურის სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურა

ჩრდილოეთ ამერიკაში გამართული დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი წარმატებული საფესტივალო სტარტი აღმოჩნდა რეჟისორ ქეთი მაჭავარიანის ფილმისთვის „მზიური“.

„მზიური“ კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში იყო წარმოდგენილი და მან ჟიურის სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურა.

დოკუმენტური ფილმების ყველაზე დიდი ფესტივალი ჩრდილოეთ ამერიკაში მსოფლიოს წამყვანი დოკუმენტური კინოფესტივალების ათეულშია, რაც თავისთავად მის პრესტიჟულობაზე მეტყველებს. ასეთ პრესტიჟულ კინოფესტივალზე მოპოვებული წარმატება კი ქართველი რეჟისორისთვის დიდი აღიარებაა.

„მასტერშეფი“ ეკატერინე გაგუამ დატოვა

კულინარიული შოუ „მასტერშეფი“ ეკატერინე გაგუამ დატოვა. მორიგი საკონკურსო ტური წარუმატებელი სწორედ მისთვის აღმოჩნდა.

ლევან კობიაშვილმა, კონსტანტინე თედელურმა და ლუკა ნაჭყებიამ ბოსტნეულის კერძებიდან საუკეთესოდ ბექა ქოსაშვილის მომზადებული კერძი დაასახელეს.

იმუნიტეტი ამ საკონკურსო ტურში სალომე სიჭინავამ მოიპოვა და დანარჩენი კონკურსანტების შედეგებს მშვიდად ადევნებდა თვალს.

„მასტერშეფში“ სულ უფრო ცოტა კონკურსანტი რჩება და შოუც ნელ-ნელა ფინალს უახლოვდება.

კომპოზიტორი ბორის თბილელი გარდაიცვალა

კომპოზიტორი ბორის თბილელი გარდაიცვალა. სამწუხარო ინფორმაცია იაგო ქებურია-ობრაზცოვმა გაავრცელა:

– გარდაიცვალა ქართველ პროფესიონალ კომპოზიტორთა დიდი მეგობარი და გულშემატკივარი, კომპოზიტორი ბორის თბილელი, მხოლოდ „იაგუნდი და ლალიო“ ეყოფა, სხვა სიმღერები რომ არ ჩამოვთვალო...

ვუსამძიმრებ ოჯახს, მიიღეთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი და გულისტკივილი... „კაცი, რომელიც დაიკლდა თბილისს“...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სოსო ფრუიძე: „ყველა თამაშზე მოსაგებად გავალთ“

ეროვნულ ლიგაში ერთ-ერთი საინტერესო გუნდი წყალტუბოს სამგურალია, რომელსაც სოსო ფრუიძე წვრთნის. გამოცდილი სპეციალისტი სამგურალს ეროვნული ჩემპიონატის დასაწყისში წვრთნიდა და მისი პირველი გუნდი იყო.

სოსო ფრუიძე:

– მინდა, მადლობა გადავუხადო სამგურალის ყოფილ მთავარ მწვრთნელს. უჩა სოსიაშვილმა დიდი სამუშაო შეასრულა. კლუბის პრეზიდენტი მიხეილ იაშვილი კი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ფეხბურთელებმა ბოლომდე გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები.

მიზნები გვაქვს, მაგრამ ჯერ უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე დავასრულოთ ჩემპიონატი. მაინცდამაინც ევროთასებზე გასვლა არ არის მოთხოვნა, თუმცა ერთი რამ ვიცი – ყველა თამაშზე მოსაგებად გავალთ მოედანზე და დანარჩენი გამოჩნდება. ვფიქრობ, კონტინგენტი კარგია, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ დიდი მასშტაბებით ხდება ფეხბურთელების მიგრაცია საზღვარგარეთ. ჩვენს გუნდში შერწყმულია ახალგაზრდობა და გამოცდილება.

რუსთავი ფინალშია და მეტოქეს ელოდება

ჯაჯესი-ხუსთავი 78:91

(21:19, 22:27, 18:26, 17:19)

საკალათბურთო გუნდი რუსთავი სუპერლიგის ფინალშია. ანატოლი ბოისას გაწვრთნილი ქვემოქართლური გუნდი საქართველოს მთავარი ტიტულისთვის იბრძოლებს. მისი მეტოქე ცხუმ-აფხაზეთსა და დინამოს გადამწყვეტი ნახევარფინალური მატჩის შემდეგ გამოვლინდება.

რუსთავი, რომელიც საქართველოს ხუთგზის ჩემპიონია, ფინალში ბოლოს 11 წლის წინ იყო. 2009-10 წლების სეზონში ქვემოქართლელებმა გადამწყვეტ მატჩში თსუ დაამარცხეს, რის შემდეგაც ტიტულის მოგების შანსი არ მისცემიათ.

რუსთაველებმა ფინალში გასვლა ბრწყინვალედ ჩატარებული წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატისა და ფლეი ოფის საწყისი რაუნდების შემდეგ მოახერხეს. არც მეოთხედფინალში და არც ნახევარფინალში ქვემოქართლელებს წაგების გემო არ განუცდიათ: ჯერ თსუ-ს და ახლა კი კაკტუსს სერიები 2:0 მოუგეს.

თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გამართული მეორე ნახევარფინალური მატჩი რუსთაველთა 13-ქულიანი დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა – 91:78. არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ პირველი მატჩის მსგავსად გამარჯვების რეალური შანსი არ ჰქონიათ. ეს რუსთაველთა მობილიზებული და ზუსტი თამაშის დამსახურება გახლდათ. ქვემოქართლელთა მაღალი ოსტატობის ამერიკელი ლეგიონერები ჯერჯერობით ყველაზე სახიფათონი და შეუჩერებლები არიან სუპერლიგაში და შედეგიც სახეზეა – რუსთავმა ფინალის საგზური ზედმეტი გართულებების გარეშე მოიპოვა.

როცა კაკტუსელები მოინდომებდნენ და გაქცევას მოაწყობდნენ, რუსთაველთა პასუხი ზუსტი შორი სროლები ან სწრაფი გარღვევები იყო. პირველი ნახევარი მეტ-ნაკლებად თანაბარი გამოდგა, რომლის განმავლობაშიც

რამდენიმეჯერ კაკტუსელებიც დაწინაურდნენ. პირველი ნახევრის შემდეგ რუსთაველები 3 ქულით იგებდნენ, მესამე პერიოდიდან კი თამაშში გარდატეხა შეიტანეს, რაშიც სოლიდური წილი გუნდის ლეგიონერებთან ერთად ახალგაზრდა ზურა ვაშაკიძესაც მიუძღვის. სოლიდურად გამოიყურებოდა გეგი ბაქრაძეც, რომელიც დაცვაშიც და შეტევაშიც შედეგიანად ირჯებოდა და მესამე პერიოდის 26:18 მოგების შემდეგ ბოისას გუნდი 11 ქულით დაწინაურდა.

ბოლო პერიოდში ვითარება არ შეცვლილა. რუსთაველებმა გამარჯვებამდე მისვლა სტაბილური დაცვისა და სწრაფი შეტევების ხარჯზე მოახერხეს და ფინალში გავიდნენ.

ქვემოქართლელთაგან ყველაზე შედეგიანი გეგი ბაქრაძე გახლდათ, რომელმაც 11 ქულა, 7 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 2 პასი მიითვალა. 17 ქულით ბომბარდირი გახდა მაიკლ დევისი, 14 ქულა, 8 მოხსნა და 7 პასი მალიქ უაითის ანგარიშზეა. კაკტუსში 29 ქულით საუკეთესო იყო სამაი ჰაინს ჯონსი, 18 ქულა სანდრო სანაძემ დააგროვა.

დინამო-ცხუმი 70:68

(21:18, 17:20, 22:8, 10:22)

ცხუმ-აფხაზეთსა და დინამოს შორის ნახევარფინალურ სერიაში მესამე, გადამწყვეტი მატჩი დაინიშნა. მუჰამედ ტაჩის გაწვრთნილმა დინამოელებმა სერიის მეორე, დრამატულ შეხვედრაში 70:68 სძლიეს ცხუმელებს და საერთო ანგარიში გაათანაბრეს – 1:1.

შესაბამისად, დაინიშნა მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა, რომლის გამარჯვებული სუპერლიგის ფინალის საგზურს მოიპოვებს.

მეორე მატჩი შეცდომებით სავსე, მაგრამ საკმაოდ დაძაბული გამოდგა. სერიის წინა შეხვედრაში ცხუმელები მესამე პერიოდში 12 ქულით აგებდნენ და საბოლოოდ ისე იმარჯვეს, ვითარება არ დაძაბულა. ამჯერადაც თითქმის ანალოგიური სიტუაცია გათამაშდა, მაგრამ ცხუმ-აფხაზეთს გამარჯვებამდე ცოტა დააკლდა.

მესამე პერიოდის ბოლოს დინამოელები 14 ქულით (60:46) იგებდნენ და ცხუმელებმა იმდენი მოახერხეს, რომ გამარჯვების შანსი მოიპოვეს. ბოლო წუთზე, როცა ყველაფერი დასრულებული ჩანდა, რადგან დინამო 5 ქულით იგებდა და საფინალო სირენამდე 10 წამზე ნაკლები რჩებოდა, ცხუმელების ლიდერმა ჯოშუა მაკფოლმა დასრულებამდე 6 წამით ადრე სამქულიანი ჩააგდო და ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა. მაკფოლმა დინამოელი მაიკლ ედვარდსის ფარქვეშიდან თამაშში შემოტანილი ბურთი მყისიერად ჩაჭრა, პერიმეტრზე ავიდა და გამარჯვების ბურთი ესროლა, რომელიც მიზანს ასცდა და... და მაინც, ცხუმელებს შანსი შერჩათ – აცილებული ბურთი ნოდარ გოგოძემ მოხსნა, ნიკა ჩეჩელაშვილს გადააწოდა, რომელმაც საფინალო სირენის თანხლებით ახლო სროლა გააცუდა.

ასე დრამატულად დასრულდა მატჩი, რომელიც ძირითადად დინამოელებს მიჰყავდათ. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილი ცხუმ-აფხაზეთი ორიოდ წუთით ლიდერობდა, ისიც მაქსიმუმ 4 ქულით, როცა 30 წუთზე მეტ ხანს დინამოელები იგებდნენ. როგორც გითხარით, ბევრი იყო ტექნიკური წუნი – ორივე გუნდმა ჯამში 39-ჯერ დაკარგა ბურთი.

გამარჯვებულ დინამოელთაგან 10 ქულითა და 13 მოხსნით საუკეთესო შედეგი ალონზო უოკერმა დააფიქსირა. 14 ქულა, 6 პასი და 4 მოხსნა ლუკა ბულაშვილის ანგარიშზეა. 13 ქულით დაასრულა შეხვედრა ნიკა დარბაიძემ. ცხუმ-აფხაზეთში 14 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო ალექსანდრე ფევაძე. 12 ქულა ვასილ ბერუაშვილმა მოაგროვა, რაჰიმ ჯონსონის ანგარიშზე კი 10 ქულა და 6 მოხსნაა.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲗ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ.

ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

შედეგები

17 მაისი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

ფლეი ოფი

ბორნმუთი-ბრენტფორდი 1:0
ბარნსლი-სუნსლი 0:1

ესპანეთი. სეგუნდა

დივიზიონი

ოვიედო-მალაგა 1:0
ხირონა-ხიხონი 1:0

იტალია. სერია ა

ვერონა-ბოლონია 2:2

სატესტო ცხრილი:

1.ინტერი	37	27	7	3	84-34	88
2.ატალანტა	37	23	9	5	90-45	78
3.ნაპოლი	37	24	4	9	85-40	76
4.მილანი	37	23	7	7	72-41	76
5.იუვენტუსი	37	22	9	6	73-37	75
6.ლაციო	36	21	4	12	61-53	67
7.რომა	37	18	7	12	66-56	61
8.სასუოლო	37	16	11	10	62-56	59
9.სამპდორია	37	14	7	16	49-54	49
10.ვერონა	37	11	11	15	45-47	44
11.ბოლონია	37	10	11	16	50-61	41
12.უდინეზე	37	10	10	17	41-53	40
13.ფიორენტინა	37	9	12	16	47-59	39
14.ჯენოა	37	9	12	16	46-58	39
15.სპეცია	37	9	11	17	50-70	38
16.კალიარი	37	9	10	18	43-58	37
17.ტორინო	36	7	14	15	49-68	35
18.ბენევენტო	37	7	11	19	39-74	32
19.კროტონე	37	6	4	27	45-92	22
20.პარმა	37	3	11	23	39-80	20

იტალია. სერია ბ

ჩიტადელა-მონცა 3:0
ვენეცია-ლეჩე 1:0

დანია. სუპერლიგა

სონდერიისკე-ლუნგბიუ 2:0

შვედეთი. ალსვენსკა

ვარბერგი-ნორჩიოპინგი 2:1
გიოტებორგი-სირიუსი 2:2
მალმიო-კალმარი 3:1
მიალბი-ჰაკენი 1:1
ელფსბორგი-ჰალმშტადი 2:3
ესტერსტუნდი-აიკი 1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

შალვა დოლბაიას ხსოვნას!

6 წელი გავიდა, შალვა ნათლია, რაც სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლეთ თქვენს საყვარელ მეუღლესთან თინა (თაფო) ჭითანავასთან.

ჩემო საყვარელო, თბილო, გულისხმიერო, კეთილშობილო, ჰუმანურო ნათლიებო, აკლიხართ და ენატრებით ყველა ახლობელს თქვენი იუმორით, განსაკუთრებით – თქვენს საამაყო ვაჟიშვილს ალეკოს, რძალს ხათუნას და შვილიშვილებს თათულისა და გვანცას!

ნათელში გამყოფოთ უფალმა!

ნათლული კუსუნა მზარელუა და გოჩა

ნოდარ ამაღლობელის ხსოვნას!

თქვენმა გარდაცვალებამ ცრემლი და ტკივილი დაუტოვა ოჯახს! მეუღლეს, ქალბატონ რაისა სონგულიას, შვილებს ლიკასა და ხათუნას, შვილიშვილებს მერიკოსა და ნინოს, თათულისა და გვანცას, შვილთაშვილებს, სიძეებს – დავით შონიასა და ალეკო დოლბაიას!

თქვენი კეთილი ღიმილი, ჰუმანურობა, გულისხმიერება, კეთილშობილება დაუვიწყარია ყველა ახლობლისთვის!

ნათელში იყავით სამუდამო სასუფეველში!

კუსუნა და გოჩა მზარელუები

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 2. ხორცის ნახარში; 3. ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის საბირჟო ფასის დადგენა; 4. კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებული პირი; 8. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. ოფიციალური სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე; 12. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 14. მუშაობის ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 16. სამკურნალო დაწესებულება; 17. შნო, მოხერხება; 19. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 21. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

თარაზულად: 5. განუწყვეტელი შეტევა კრივში; 6. ბერძნული ფილოლოგიის სპეციალისტი; 7. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 13. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 15. მოკლე დისტანციებზე მოასპარეზე სპორტული ცხენი; 18. სისხლის თხევადი ნაწილი; 20. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 22. ქალაქის თავი ჩეხეთში; 23. ივლისის თვის ქართული სახელწოდება; 24. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დოფინი; 2. ტალი; 3. ალგორითმი; 4. ონისე; 5. ხორშაკი; 8. ხორავა; 9. თითლიბაზი; 12. ტრიოდი; 14. როსინი; 16. იუანი.

თარაზულად: 1. დეპორტივო; 6. ფლამინგო; 7. ფერხული; 9. თაგორი; 10. ლელა; 11. ბაღდათი; 13. ბერნი; 15. ორბანი; 17. სინდისი; 18. ტონიკი; 19. ფლინტი; 20. ვივიენი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ციტატა; 2. ფერმერი; 3. ხეჭეჭური; 4. იტალიანა; 8. ჩელენტანო; 9. მანომეტრი; 11. პარხალი; 12. კოლი; 14. არნო; 16. კოხინორი; 17. პოინტერი; 19. გინესი; 21. ტარტუ.

თარაზულად: 5. კერატიტი; 6. ტრავიატა; 7. მეტრეველი; 10. რუტერი; 13. ბენონი; 15. ქლუხორი; 18. დოლარი; 20. კარტიე; 22. განდაგანა; 23. გრინფისი; 24. უტინოურა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3979

ევრო — 4.1325

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.7938

100 რუსული რუბლი — 4.5918

ამინდის პროგნოზი 19 მაისისათვის

16 ქალის ქმარი და 151 ბავშვის მამა ისევ დაქორწინებას აპირებს

ზიმბაბვეში მცხოვრები მამაკაცი, რომელსაც 16 ცოლი და 151 ბავშვი ჰყავს, ისევ დაქორწინებას აპირებს.

66 წლის მიშეკ ნიანდორო ამტკიცებს, რომ პოლიგამიური ოჯახი მისი პროექტია, რომელიც მან 1983 წელს დაიწყო. ამ დროისთვის მისი 50 ბავშვი სკოლაში სწავლობს, ექვსი ზიმბაბვეს ეროვნულ არმიაში მსახურობს, ორი პოლიციელი გახდა, ხოლო 11 სხვადასხვა პროფესიით მუშაობს. მისი ქალიშვილებიდან 13 უკვე გათხოვილია, ხოლო 23 ბიჭი დაქორწინებულია. მისი ერთ-ერთი შვილი მამის კვალს დაადგა და უკვე ოთხი ცოლი ჰყავს.

მამაკაცი თვლის, რომ მისმა პროექტმა უკვე გამოიღო ნაყოფი: შვილებს ყოველდღე მოაქვთ მამისთვის საჩუქრები და ფინანსურად ეხმარებიან.

– ყოველი ცოლი თავდაუზოგავად ცდილობს, ყველაზე გემრიელი სადილი მოამზადოს, ვინაიდან, ჩემი წესების თანახმად, ვჭამ მხოლოდ იმ კერძს, რომელიც მომწონს, ხოლო უგემურ საჭმელს, უბრალოდ, ვყრი, – ამბობს ზიმბაბველი.

ნიანდოროს ქორწილი 16 ცოლთან 2015 წელს შედგა. ამის შემდეგ ის კიდევ ერთი ცოლის მოყვანას გეგმავდა, მაგრამ ეს ფინანსური პრობლემების გამო ვერ მოახერხა. ახლა კი, როდესაც ვითარება გამოსწორდა, მეჩვიდმეტე ცოლის მოყვანას აპირებს და უკვე საპატარძლოც ჰყავს შერჩეული. ქორწილი მიმდინარე წლის ივნისშია დანიშნული.

მისი თქმით, თუ ეკონომიკა დასტაბილურდება, მაშინ მომავალ წელს მას ორი-სამი ცოლითა და რამდენიმე ბავშვით მეტი ეყოლება.

– ბოლო ექვსი წლის განმავლობაში 22 ბავშვის მამა გავხდი. მიღწეულით დაკმაყოფილებასა და გაჩერებას არ ვაპირებ, – ხაზგასმით აცხადებს ზიმბაბველი.

ანეკდოტი

დედა შვილს ეჩხუბება და ეუბნება:

– თუ სულ ასე იტირებ, ავდგები და გაგცვლი სხვა კარგ და დამჯერ ბიჭზე!

– არ გამოვა, დედა!

– ვითომ რატომ?

– იმიტომ, რომ სად იპოვი ისეთ სულელს, რომელიც კარგი ბავშვის ცუდზე გაცვლაზე დაგთანხმდება?

●●●

ოჯახური სადილი. სიდედრი სიძეს მიმართავს:

– სიძე ბატონო, თუ შეიძლება, ძეხვი მომიჭერით.

– რამდენი მოგიჭრათ?

– რამდენიც არ დაგენანებათ.

– ვერა, მასე თხლად დაჭრა არ მეხერხება...

●●●

საავადმყოფოს ტრავმატოლოგიური განყოფილების პალატაში მთავარი ექიმი შემოვლაზეა. ექიმი ეუბნება:

– აქ წვანან ფანჯრიდან გადმომხტარი საყვარლები. მარჯვნივ წვანან იღბლიანები, მარცხნივ – უიღბლოები.

– და რით გამოიხატება იღბლიანების იღბლიანობა?

– კარზე ზარის დარეკვისთანავე ფანჯრიდან გადახტნენ და სახლში დაბრუნებულმა ქმარმა ვერ შეუსწრო.

– და უიღბლონი?

– კარზე ზარის დარეკვისთანავე ფანჯრიდან გადახტნენ, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, მეზობელი აღმოჩნდა...

კახი კავსაძემ უკანასკნელი როლი ანრი ჯოხაძის კლიპში ითამაშა



85 წლის მსახიობმა კახი კავსაძემ თავისი უკანასკნელი როლი მომღერალ ანრი ჯოხაძის კლიპში ითამაშა.

ანრიმ ახალი სიმღერის ვიდეოკლიპში გადასაღებად ლეგენდარული კახი კავსაძე მიიწვია. მომღერალი მსახიობთან ხშირად თანამშრომლობდა და თავისი კლიპების წყალობით არაერთი უძვირფასესი კადრი შემოგვინახა.

ანრიმ კლიპის გადაღებების დასრულება მოასწრო. საუბედუროდ, ვიდეორგოლის ნახვა კახი კავსაძემ ვერ შეძლო. მისი გარდაცვალების შემდეგ ანრიმ კლიპიდან ფოტოები და მცირე ვიდეო ინტერნეტში გაავრცელა და გენიალურ მსახიობს ასე დაემშვიდობა.

როდის შეძლებს მაყურებელი ანრის ახალი ნამუშევრის ნახვას, ჯერჯერობით უცნობია.

ქეთევან კიკნაძე 82 წლის გახდა

თეატრისა და კინოს მსახიობი ქეთევან კიკნაძე 82 წლის გახდა. პანდემიის გამო მან დაბადების დღე მოკრძალებულად შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად აღნიშნა.

გიგა ლორთქიფანიძის მეუღლემ დაბადების დღეზე უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო როგორც ნაცნობებისგან, მეგობრებისან და გულშემატკივრებისგან, ასევე სრულიად უცნობი ადამიანებისგან.

ასეთი ყურადღებით განებივრებულმა მსახიობმა კეთილი სურვილებისთვის ყველას გულითადი მადლობა გადაუხადა.

თორნიკე ყიფიანი: „წინასწარი მონაცემებით, ბოლოზე ვართ“



მომღერალი თორნიკე ყიფიანი საქართველოს დელეგაციასთან ერთად უკვე ნიდერლანდებში იმყოფება, სადაც ევროვიზია 2021-ზე ჩვენს ქვეყანას წარადგენს.

ქართველმა მომღერალმა უკვე მიიღო მონაწილეობა კონკურსის გახსნის საზეიმო ცერემონიალში, ევროვიზიისთვის აშენებულ სპეციალურ სცენაზე ორი რეპეტიციაც გაიარა, ჟურნალისტებსაც შეხვდა და ნიდერლანდებში მცხოვრები ქართველების მიწვევაც მიიღო.

როგორც თორნიკე სოციალურ ქსელში წერს, საქართველო ბოლო ადგილზეა:

– ორი რეპეტიციისა და გახსნითი შოუს შემდეგ, წინასწარი მონაცემებით, ბოლოზე ვართ. ოუ ნოუ!

აწი, როგორც ამბობენ, მამაზეციერი თუ გვიშველის...

პ.ს. თორნიკე ყიფიანი ევროვიზიაზე მეორე ნახევარფინალში 20 მაისს იმღერებს. სწორედ ამ დღეს გაირკვევა, გადავა თუ არა ფინალში საქართველოს წარმომადგენელი.

გია მურღულია: „არ გვაქვს გადაღებული ფილმები, რომლებიც დაგვეხმარებოდა საკუთარი ცხოვრებისა და საზრისის უკეთ წარმოდგენაში“

ფილოლოგ გია მურღულიას სურვილი აქვს, გადავიღოთ ისეთი ფილმები, რომლებიც საკუთარი ცხოვრებისა და საზრისის უკეთ წარმოდგენაში დაგვეხმარება:

– ჩვენ არ გვაქვს გადაღებული ფილმები, რომლებიც დაგვეხმარებოდა საკუთარი ცხოვრებისა და საზრისის უკეთ წარმოდგენაში.

თითქმის არაფერი გადაგვიღია საქართველოს ისტორიის შესახებ – სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ქრისტიანობის მიღება, ომები, დამოუკიდებლობის გამოცხადება თუ სახელმწიფოებრიობის აღდგენა, კულტურული საქმიანობა, დიპლომატია, სპორტი...

ასევე, უკიდურესად მწირია ფილმები იმ ადამიანებზე, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის მთავარი ორიენტირები შექმნეს, მიზნები დასახეს და მათ მიაღწიეს – ფარნავაზი, მირიანი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე... იოანე საბანისძე, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი ათონელი, შოთა რუსთველი, სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, ივანე ჯავახიშვილი, გალაკტიონი... ცხადია, ყველას ვერც ჩამოთვლი.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ საკუთარი ცხოვრება არ გვაინტერესებს და სხვისას მეტ ყურადღებას ვუთმობთ.

რა თქმა უნდა, ოდნავ გადავაჭარბე, მაგრამ ამ მსჯელობას სიმართლის დიდი „ულუფა“ ხომ ურევია?

მგონი, უბრალოდ, სირცხვილია, მაგალითად, ილიაზე რომ არაფერი გადაგვიღია – მთელი ცხოვრება მასზე ვლაპარაკობთ, ამდენი დავწერეთ, მაგრამ მისი ეკრანული სახე პრაქტიკულად არ შეგვიქმნია.

თვითშემეცნების კულტურა, მათ შორის – ამ ფორმითაც, ნებისმიერი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

იქნებ სახელმწიფომაც და კერძო სექტორმაც იფიქრონ ამ კულტურის ამაღლებასა და უპატიებელი ხარვეზის თანდათანობით აღმოფხვრაზე – საქართველოს ეს ძალიან სჭირდება.

ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ – თუ გადასარჩენი გვაქვს, რა გადავარჩინოთ, რას მოვუფრთხილდეთ ყველაზე მეტად, რა ღირებულებებსა და მიზნებზე აღვზარდოთ ახალი თაობა და – ყველაზე ძვირფას რაღაცებზე დაფუძნებით – რა მივიჩნიოთ უპირატესი განვითარების ღირსად.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის შემდეგაც კი ჩვენ არ გვაქვს გამაერთიანებელ იდეათა სისტემა, რომელიც საერთო მიზნობრივ ენერგიას დაბადებდა.

ამიტომაც გვაქვს ამდენი მოუგვარებელი პრობლემა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მონადირეს ტურისტი ინდაურში აერია და ესროლა

ამერიკის მისურის შტატის სენტ-ჩარლზის ოლქში მონადირეს ტურისტი გარეულ ინდაურში აერია და შეცდომით ესროლა.

შაბათს, 8 მაისს, მამაკაცმა მკერდში ცეცხლსასროლი იარაღიდან ჭრილობა ერთ-ერთ პოპულარულ ტურისტულ ბილიკზე სეირნობის დროს მიიღო.

თვითმხილველმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ ხმები გაიგონა, შემდეგ კი თავიდან ფეხებამდე შენიღბული მონადირე შენიშნა, დიდი თოფით.

– ჩვენ ტურისტულ ბილიკთან ძალიან ახლოს ვიმყოფებოდით, ამიტომ წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა ის, რომ ვინმეს შესაძლოა სროლა აეტეხა, – განაცხადა თვითმხილველმა.

პოლიციამ მონადირე დააკავა. მან განაცხადა, რომ მამაკაცი ინდაურში აერია და შემთხვევით ესროლა.

დაშავებული მკერდში მიყენებული სერიოზული დაზიანებებით შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

19 მაისისათვის

ვერძი – გრძნობების გამოვლენა სარისკოა. საღამოს საინტერესო ამბავს შეიტყობთ ან დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდებით. **ჯერო** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ტყუპები** – ძლიერდება აურა, სასიცოცხლო პოტენციალი. შთაგონება გეწვევათ, რომელსაც ხორცს საკმაოდ იოლად შეასხამთ. **კირჩხიბი** – მატერიალური კუთხით პრობლემური დღეა. შემოსავალ-გასავალი მკაცრად აკონტროლეთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში გიმართლებთ. ასევე სასარგებლო იქნება მეგობრებთან კონტაქტი და ახალი საქმის დაწყება. **ქალწული** – დაუფიქრებლობა, ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება დაგაზარალებთ. ალკოჰოლს ერიდეთ. **სასწორი** – პირად ცხოვრებაში შექმნილ პრობლემებს მარტივად მოაგვარებთ. დღეს კარგად დაისვენეთ. **ღრიანკალი** – ეს დღე უთუოდ ბავშვებსა და ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ხალხმრავალ ადგილებს მაქსიმალურად ერიდეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი, თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა იზრდება. საკუთარი პოზიციების დაცვას იოლად მოახერხებთ. **თხის რქა** – მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. მთავარია, შანსი ხელიდან არ გაუშვათ. **მერწყული** – საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. თავს ბედნიერად გრძნობთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი ტენდენციები გრძელდება. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. იზრუნეთ პროფესიონალურ სრულყოფაზე.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 2. დაბალი ხარისხის თამბაქო; 3. თაღლითი, რომელიც რაიმე საქმის სპეციალისტად ასაღებს თავს; 4. ვაზის, ღვინის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 5. ფეოდალი მთავრების სახელწოდება შუა საუკუნეების საქართველოში; 8. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 9. სხვადასხვა ფერის მინის მსგავსი არაგამჭვირვალე მასა ლითონის საგნების ზედაპირის დასაფარად; 12. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 14. არგონავტების წინამძღოლი; 16. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება.

თარაზულად: 1. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 6. ავადმყოფური, ღრმა ძილის მდგომარეობა; 7. კიბერნეტიკის ერთ-ერთი დარგი; 9. საჭმელი სოკო; 10. ძაფის სართავი უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 11. ბრიტანელი პოეტი, ლორდი; 13. ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი; 15. პენალტი ჰოკეიში; 17. წითელი ფერის ძველებური სახელწოდება; 18. საქართველოში მოღვაწე ჩეხი ლოტბარი; 19. იახტების, ნავების სადგომი ნავსადგურში; 20. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა